საქართველოს

# ქალი

1998

1–2



მისი ზოდიაქო მერწყულია

**პრეზიდენტის საიუბილეოდ** 1-2 გვ.

**სანქტ-პეტერბურგის ქართულ სკოლაში** 5 გვ.

## ნომერშია:

ლოცვის ძალა შველის ბოროტ სულთაგან შეპყრობილთ 20 გვ.

ჟორდანიას ინსტიტუტი მრავალ პრობლემას გადაგიწყვეტთ 9 გვ.

პრაქტიკუმი მშობლებისათვის 19 გვ.

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოგოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ბიჭიკო ასკურავა შვილიშვილებთან. ვ. ბენბიურის ფოტო.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. შ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# ვულოცავთ!

## დეპეშა

**ძვირფასო ბატონო ედუარდ!**

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია, რომელსაც ახსოვს თქვენი ამაგი და ყურადღება, მხურვალედ გილოცავთ თქვენი სახელოვანი 70 წლის იუბილეს და უერთდება იმ კეთილ სურვილებს, რომლებსაც გამოთქვამს დღეს მთელი ცივილიზებული მსოფლიო.

გისურვებთ, არასოდეს მოგკლებოდეთ ენერგია, ხალისი, ხალხის სიყვარული, თანადგომა, დიდხანს გეცოცხლოთ ერთიან აყვავებულ საქართველოში, რომლის აღორძინებაში თქვენი წვლილი სრულიად განსაკუთრებული იქნება.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“
რედაქცია**

# „მისი ზოდიაქო მერწყულია, XXI საუკუნე მერწყულისაა“



პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის იუბილის საუკეთესო აღნიშვნა ის იქნება, როცა პოსტიდან წასვლის შემდეგ მას და მის ნაღვაწს ხალხი კეთილად მოიხსენიებსო, — როგორც ყოველთვის ბრძნულად, აფორიზმის სისხარტით და, რაც მთავარია, დროულად — თავისი 70 წლიანი იუბილის კვირაძალს ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა, რითაც შეფარვით იმისი სურვილიც გამოხატა, რომ მისი 70 წლისთავი ზედმეტი ზარ-ზეიმის გარეშე ჩატარებულიყო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და „ზარ-ზეიმს“, ცხადია, ჩვენც მოვერიდებით, მაგრამ უმადურობაც არ არის კარგი, ხოლო ჩვენგან უმადურობა იქნებოდა მადლობის გრძნობა არ გაგვეჩენოდა ბატონი პრეზიდენტისადმი, ჩვენი ჟურნალის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის, როცა ჟურნალის არსებობა ბეწვზე ეკიდა, თუმცა მსგავსი გულისხმიერება პრესის მიმართ ბატონი ედუარდისათვის დამახასიათებელია.

მახსოვს, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი, ეს იყო 80-იანი წლები, ქართული ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტების სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე სასაუბროდ პირველ მდივანთან მისაღებად ჩავეწერე. სასაუბრო თემატიკა მოკლედ მოვხაზე და მაგიდაზე მინის ქვეშ ამოვდე. დრო და დრო გადავხედავდი, რაღაცას ამოვაკლებდი, რაღაცას დავამატებდი. ვიცოდი, რა ყურადღებიანი მოსაუბრე და რაოდენ ინფორმირებული ბრძანდებოდა ბატონი ედუარდი იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა იდეოლოგიის სფეროში საერთოდ და ჟურნალისტიკაში კერძოდ და არ მინდოდა რაიმეში „ჩავჭრილიყავი“. მაგრამ გავიდა გარკვეული დრო, არავის გამოვუძახივარ და ვიფიქრე, რამდენი ჩემისთანა ადამიანი მოისურვებს, ცხადია, ყველას მისაღებად პირველი პირი ვერ მოიცლიდა-მეთქი. გამოვიღე მინის ქვეშიდან ჩემი „თეზისები“, დავხიე და გადავყარე თუ არა,

გაისმა ზარი: „ხვალ, 6 საათზე, დაბარებული ბრძანდებით“...

სანამ მოსაცდელში ვიჯექი, უცებ მიღება შეწყდა და სასწრაფოდ ბიუროს სხდომა შეიკრიბა. დრო გადიოდა, მინისტრები და თანამდებობის პირები საქმიანი სახეებით შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ტელეფონზე რეკავდნენ, წყრებოდნენ და მე თანდათან მიმტკიცდებოდა აზრი, რომ ჩემი აქ მოსვლა სისულელე იყო, ამ სიტუაციაში ვინ მოიცლიდა ჟურნალისტიკის პრობლემებზე სასაუბროდ? გამოპარვაც არ გამოდიოდა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. და როცა საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემი სათქმელის უმნიშვნელობაში, მდივანმა ქალმა ჩემი გვარი წარმოთქვა.

— სათქმელი კი ბევრი მქონდა, მაგრამ რადგან თქვენ დაღლილი ბრძანდებით... — მომესმა თითქოს უცხო ხმა. მე ვლაპარაკობდი.

— ვინ გითხრათ, რომ დაღლილი ვარ? — ალბათ უფრო ჩემს გასამხნევებლად წარმოთქვა ბატონმა ედუარდმა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ალბათ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა ჩვენი საუბარი, მე, ცხადია, რამდენჯერმე წამოვიწიე წასასვლელად, მაგრამ ბატონი ედუარდი მანიშნებდა — საუბარი ჯერ არ დამთავრებულაო.

როგორც მოველოდი, ყველაფერში უაღრესად ინფორმირებულმა, უამრავი შეკითხვა დამისვა, ჩანაწერი გააკეთა და რამდენიმე საკითხის უახლოეს ხანში გადაწყვეტას, დანარჩენებში გარკვევას დამპირდა. იმ დღეს აღმოვაჩინე ჩემი თანამოსაუბრის არაჩვეულებრივი უნარი — მოსმენის უნარი. ის უაღრესი გულისყურით ისმენდა არამარტო იმას, რასაც ამბობდი, არამედ იმასაც — რისი თქმა გინდოდა.

სულ ცოტა ხანში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომამ განიხილა ქართული ჟურნალისტიკის სფეროში არსებული პრობლემების საკითხი და ჩვენ, ჟურნალისტებმა მალე ვიგრძენით, რას ნიშნავდა პირველი მდივნის დაინტერესება. კოლეგებიდან ზოგი მადლობას მეუბნებოდა, ზოგი უფრო მაღალი ჩინოსანი ვისაც, ცხადია, თვალში ვეპატარავებოდი, დაბოღმილი დადიოდა, რადგან ბიუროს სხდომაზე მაინცდამაინც თავზე ხელი არ გადაუსვამთ და ჩემს ამ გულწრფელ ნაბიჯს „მეტიჩრულ გამოხტომად“ მოიხსენიებდა. რადგან თანამდებობით უფროსთაგან ბევრს მიაჩნდა, რომ საქვეყნო საქმეზე ფიქრი და აზრის გამოთქმა, მითუმეტეს პირველ პირთან, მხოლოდ მისი პრეროგატივა იყო, ისე როგორც საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა.

ეს ეპიზოდი მხოლოდ იმისთვის გავიხსენე, რომ ჩვენს ჟურნალზე ზრუნვა ბატონი პრეზიდენტისთვის თუნდაც მცირე მოკრძოებაში არავის ჩამოერთმია. ასე ზრუნავს ის საბავშვო პრესაზე, ლიტერატურაზე, ბევრ სხვაზეც. საზოგადოდ, ქართული კულტურა ხომ მისი შეუნელებელი ზრუნვის საგანი იყო და არის.

ჩვენ „დიდ გულზე“ ქალბატონი ნანული შევარდნაძის სიყვარულის გამო ვართ, რომელიც ბარე ორ ათეულ წელზე მეტი „საქართველოს ქალის“ რედაქციაში თავაუღებლად და ნაყოფიერად მუშაობდა, ბევრს აკეთებდა ჟურნალისათვის, და ახლაც თბილი მოგონებები აკავშირებს რედაქციასთან, ყოველი ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიაქვს, შეიძლება ამიტომაც იყო, რომ საქართველოში დაბრუნებულმა პირველმა ქალბატონმა, ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ მე — „საქართველოს ქალის“ რედაქტორს მომცა. მისთვის ჩვეული მოკრძალების გამო, მერე მაინც თავი შეიკავა მის სრულად გამოქვეყნებაზე.

მას მერე ბევრი რამ შეიცვალა.

ახლა ქ-ნი ნანული გაზეთის რედაქტორია და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა.

მე კი ისევ თვალწინ მიდგას კრწანისის რეზიდენცია.

მყუდრო კუთხეში, პაწია მაგიდასთან ორი ჟურნალისტი ვსაუბრობთ. საუბრის თემა ჩემთვის თვალშეუდგამია — საქართველოს პრეზიდენტი, ქ-ნი ნანულისათვის — უახლოესი ადამიანი — მეუღლე.

და ერთი ფრაზა, რომელიც ნიშანდობლივად მეჩვენა და ახლაც ყურში ჩამესმის „ედუარდის ზოდიაქო მერწყულია, ოცდამეერთე საუკუნე — მერწყულისაა“.

„მომავლის პოლიტიკოსი“, — ამბობენ ბატონ ედუარდზე მისი უცხოელი კოლეგები. ოცდამეერთე საუკუნე — მერწყულისაა, — ეს ქ-ნმა ნანულიმ თქვა, და რადგან მსოფლიო ჩვენს თვალწინ იცვლება და მას ადამიანები ცვლიან, იქნებ ეს ფრაზა ასეც აჟღერებულიყო: „ოცდამეერთე საუკუნე — საქართველოსია — საქართველოს მკვეთრი და სრული აღორძინებისა.

დღეს, როცა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეები, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მმართველი ელიტა ზუსტ და აღმატებულ ეპითეტებს არ იშურებენ სახელოვანი იუბილარის პატივსაცემად, ჩემგან ამის მცდელობა უხერხულიც კი იქნებოდა.

უცხოსაგან ქება, ცხადია, უფრო სასიამოვნოა, მით უფრო, რომ გულწრფელადაა ნათქვამი და სახელოვანი იუბილარის მიერ კონკრეტულად გაკეთებულ მსოფლიო მნიშვნელობის, ეპოქალურ საქმეებს შეგვახსენებენ, რომელთა თანამონაწილენი ზოგჯერ დღევანდელი მომლოცველებიც ბრძანდებიან და კარგად უწყიან, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი თითქმის გმირობის ტოლფასი იყო.

ჩვენ მხოლოდ ერის ჩინებული შვილის, ჩვენი ბატონი ედუარდის სიყვარული და მისდამი მადლიერების გრძნობა გვაბედინებს გავკადნიერდეთ და მივულოცოთ მას 70 წლისთავი, ვუსურვოთ ულევი ბედნიერება და ხანგრძლივი სიცოცხლე ერთიან, აყვავებულ, მოლხენილ საქართველოში, რომლის აღორძინებაში ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის წვლილი სრულიად განსაკუთრებული იქნება.

**ნარგიზა მგელაძე**

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი.

---

ჟურნალი უკვე მზად იყო, როცა 9 თებერვლის შემზარავმა ამბავმა — საქართველოს პრეზიდენტზე ვერაგულმა თავდასხმამ სრულიად საქართველო შეძრა და არც მსოფლიო დატოვა გულგრილი.

ამ სამწუხარო ამბავშიც გამოსჭვივის უცნაური სინათლის შუქი — რწმენა იმისა, რომ ჩვენს პრეზიდენტს, მაშასადამე, მთელ საქართველოს ღმერთი წყალობს და განსაცდელისგან იფარავს.

კვლავ არ მოკლებოდეს მისი წყალობა არც ერთს და არც მეორეს!

საქართველოს



პუბლიკაცია გადმობეჭდილია გაზეთიდან „მშვიდობა ყოველთა“, რომლის ეს ნომერი მთლიანად საქართველოს პრეზიდენტის იუბილეს ეძღვნება.

# ნანული

ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისაგან განსხვავებით, მილოცვა მესამე პირში უნდა დავიწყო; უეცრად მივხვდი, ჩემთან შედარებით მათ რამხელა უპირატესობა აქვთ, რამეთუ მისი სისხლი არიან სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, გენების განმგრძობნი, მისი სიცოცხლის ხის ამონაყარი რტოები, რომელთა სიმწვანეს, სიმსუყეს და სიხასხასეს მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შევალიე. არა, მე მათი სულაც არ „მშურს“, პირიქით, მიხარია, რადგან მათში მამის, ბაბუის ნიშან-თვისებებს ვხედავ და უზომოდ მეამაყება.



* * *

ვულოცავ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს შვიდი ათეული წლის შესრულებას. შვიდი საკრალური რიცხვია! — სწორედ წელს უნდა დაიწყოს საქართველოს გაერთიანება-აღორძინება. ნუ გაგიკვირდებათ ჩემი ასეთი „კატეგორიული“ სურვილი. როგორც ერთი დიდი მწერლის რომანის გმირი ამბობს, „ასეა ეს!“ ყოველ შემთხვევაში, ამ სტრიქონების ავტორს ამის ისეთი ცეცხლოვანი ჟინი სწვავს, ისე შესთხოვს მაცხოვარსა და უბიწო ქალწულს, ისეა თავგამოდებული, რომ ყოველივეს ღვთიური, კოსმიური ძალები თუ შთააგონებენ.

ღმერთო, გადმოხედე ტანჯულ საქართველოს, ქართველებს, უნიჭიერეს, ულამაზეს ხალხს, თუ თამამი ნათქვამი არ გამომივა, შენგან ხელდასხმულთ და შეწყალებულთ.

იქნებ ედუარდ შევარდნაძეც იმისთვის ეახლა დედამიწას, რომ უზენაესის ნებით თავისი მშობლიური ერისათვის ილვაწოს და ეწამოს (რა ვქნა, კალამი გამირბის), იქნებ მთელი დედამიწისთვისაც. მხოლოდ ქართული და მთელი მსოფლიოს მიწის ნაჟურით აღვსილი კაცი თუ შესძლებდა, გაეძლო ამ საოცარი რყევების, ალმა-დალმა (დიახ, დალმაც, დალმაც) ფრენის სიჩქარისა და დატვირთვისათვის! როგორც ვხედავთ, გაუძლო!

იუბილეს დღეებში (თუმცა თავად იუბილარი ამის კატეგორიული წინააღმდეგია) ვერაფრით ასცდები პათეტიკას. — ახლაც, როგორც ხედავთ, ასე მოხდა.

პათეტიკას ყოველთვის მშვიდი, ჩაფიქრებული ტონი მოსდევს.

ვინ, ვინ და მე ხომ აგერ ლამის ნახევარი საუკუნეა მოწმე ვარ იმისა, როგორ მიედინება — მიეჩქარება მისი ცხოვრების მდინარე. მე ამ მდინარეს სულმოუთქმელად მივდევ ფეხდაფეხ, მივრბივარ, ვიღლები, ქოშინი მეწყება... კვლავ რაღაც მაგიური ძალით ვივსები და ისევ მივქრივარ. ზოგჯერ მდინარე აბობოქრდება, ჯებირებს, რიფებს ეჯახება; მე სული მეკვრება, თავზარდაცემული უტყვი მოწმე ვხდები, მინდა მივეხმარო, ვუშველო, მაგრამ ამაოა ჩემი მცდელობა! ისევ თავად, თავად გადაიქუხებს მდინარე და განიერ კალაპოტს შეიქმნის. მიდის წყნარად, მშვიდად; მე, მისი მომზირალი და თანამდევი მცირე ხნით ვისვენებ... სულს ვითქვამ. მაგრამ... ჰოი, ისევ ეს წყალქვეშა და წყალზედა დინებები და დაბრკოლებები, ისევ ყიჟინი აქაფებული მდინარისა, ისევ დაუოკებელი სწრაფვა დაუძლეველისაკენ. და, აი, საოცრება, მდინარე ალმა იწყებს დინებას. ეს არ შეიძლებაო, ასე არ ხდებაო, მეტყვიან, ჩამთვალოს, ვისაც უნდა, დონ კიხოტად. ასეა სწორედ, ასე. მდინარე ალმა იწყებს სვლას. მე კი ისეთი დაღლილი ვარ, ისე გაოცებული, მაგრამ ამავე მდინარის გამაგრილებელ შხეფებს მოვყავარ გონს. და... კვლავ მივდევ, დაქანცული მივდევ ნაპირს, მივდევ მანამ, ვიდრე მდინარე კალაპოტს არ დაუბრუნდება, მშვიდ დინებას, ლივლივს დაიწყებს და სიცოცხლის უზარმაზარ ოკეანეს არ შეუერთდება! მერე, შემდეგ მე რაღას ვიზამ? — რაღა დამრჩენია, ოკეანეს უნდა შევუერთდე, მის მიქცევ-მოქცევას დავყვე. მერე ყველამ, მათ შორის ოკეანეში გაბნეულმა მდინარემ იცის ყველაფერი, ის მიჩვენებს, როგორ მოვიქცე!

მაინც არ გამომივიდა მშვიდი ტონი, ისევ ავყევი პათეტიკას. მაგრამ, ვინ, ვინა თქვა პირველად პათეტიკის აუგი? — ხომ არ შეცდა! — ახლა ძალიანაც გამომადგა...

გაუმარჯოს ბობოქარ, ხანგრძლივად მოელვარე მდინარეს! ოკეანემდე ჯერ შორია. მდინარეც, ვიდრე ოკეანეს შეუერთდება, უთუოდ მოასწრებს გარშემო თავისი შხეფებითა და სიგრილით შვება მოუტანოს ყველას — აღზევებულსა თუ მცირე ხნით დაცემულს. დაღმართს აღმართი მოსდევს. თუ აზრს გავაგრძელებთ, ისევ დაღმართი, მერე აღმართი და ასე უსასრულოდ...

გაუმარჯოს მქუხარე მდინარეს!

# წმინდა ნინო საფრანგეთში



„მე მიყვარს მშვენიერი საქართველო მარტო ბუნების სიდიადისა და იმის შვილთა გულ-წრფელობისათვის კი არა, არამედ იმისთვისაც, რომ ჩემი სამშობლო თაყვანს სცემს წმ. ნინოს!"

ფრანგი ბარონი დე-ბაი.

როგორც ცნობილია, ფრანგულმა ასოციაციამ — „ლეინ არდ" იუნესკოს წარუდგინა პროექტი, რომელიც ეძღვნება ყველა დროისა და ეპოქის მსოფლიოში ცნობილი ქალების ცხოვრებას. ამ ჩანაფიქრის შესაბამისად გათვალისწინებულია სავარაუდოდ 1998 წელს საერთაშორისო გამოფენის მოწყობა — „მსოფლიოს ლეგენდარული და მითიური ქალები", აღნიშნულ პროექტს მხარი დაუჭირა საფრანგეთის ბევრმა სამინისტრომ და იუნესკომ, რომელმაც თავის მხრივ ივალდებულა წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მასალების თავმოყრა და დამუშავება.

საერთაშორისო გამოფენას — „მსოფლიოს ლეგენდარული და მითიური ქალები", საქართველოდან სხვა ქალებს შორის წარედგინა წმინდა ნინო. ამასთან დაკავშირებით ქვევით ვაქვეყნებთ წერილს „წმინდა ნინო საფრანგეთში".

* * *

1875 წელს ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო, რომ საფრანგეთის ქალაქ ლიონში ფრანგულ ენაზე გამოიცა ლამაზად გაფორმებული ბროშურა — „წმინდა ნინო". ეს ამბავი ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია გაზეთმა „დროებამ" (1875, № 7): „თუ ამდენი საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა პატარა ქვეყანამ გაუძლო ამდენ ძველ მტრებს, თუ მეოთხის საუკუნიდამ დაწყობილი ამ მხარეს ასე მაღლა და მტკიცედ ეპყრა დროშა ქრისტიანობისათვის ზნეობისა და მიმართულებისა, უპირველესი მიზეზი ამისა იყო და იქნება წმ. ნინო. ეს ჩვენ ქართველებს კარგათ უნდა გვახსოვდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაწილი ჩვენის მხარის ოდესმე უკეთესი ენით, სწავლით და ზნეობით, ზემო ქართლი ანუ საათაბაგო, დაირღვა, ლპეცა და თითქმის გაქრა, რაკი იმან წმინდა ნინოს დროშა ხელიდამ გაუშვა.

ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყვნეთ მამა ოგუსტ დარასი, რომელიც თავისი ბროშურით აღვიძებს ჩვენში ნამდვილ გრძნობას და მოვალეობას შესახებ ჩვენის განმანათლებლისა. დარას ბროშურა ღირს იმათ, რომ გადმოითარგმნოს ქართულით და თვითეულმა ქართველმა იქონიოს. რაც კი ძველ და ახალ მწერლებს, საქართველოსა და უცხო ქვეყნებისას უთქვამთ შესანიშნავი წმინდა ნინოს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, ყოველივე ეს დარას ბროშურაში შემოკრებილია და განხილული".

მაშ ასე, ფრანგმა მამა ოგუსტო დარამ საფრანგეთს გააცნო წმინდა ნინო ლიონში გამოცემული ბროშურით, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო ამ კეთილშობილური საქმის ამბავი.

წმინდა ნინოსადმი ფრანგების ყურადღება შემთხვევითი არ იყო.

მე-19 საუკუნის დასასრულს საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურა ფრანგმა მწერალმა და ეთნოგრაფმა, ბარონმა დე-ბაიმ. იგი აღფრთოვანებული იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებით, ისტორიული ძეგლებით და გასაოცარი ბუნებით. დე-ბაიმ საფრანგეთში გამოსცა წიგნები „საქართველოში" (1898 წ.), „კავკასიონის სამხრეთ მხარეში" (1899 წ.), „თბილისი" (1900 წ.), „იმერეთი" (1902 წ.), რომლებშიც გამოხატა ღრმა პატივისცემა საქართველოსადმი.

დე-ბაი განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული წმ. ნინოს პიროვნებით. 1897 წლის ოქტომბერში ფრანგი მწერალი საქართველოში ჩამოდის. გაზეთი „ცნობის ფურცელი" (22 ოქტომბერი) აღნიშნავდა: „ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ საფრანგეთის საერთო განათლების სამინისტრომ გამოგზავნა კავკასიაში საარქეოლოგიო მიზნით მეცნიერი ბარონ დე-ბაი, რომელმაც დაიარა ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სხვა ადგილები სამხრეთის კავკასიისა და ჩამოვიდა ტფილისში; ბარონ დე-ბაი დიდის ყურადღებით ათვალიერებს ნაშთებს და მწერლობას თამარ მეფის დროისა და საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნინოს შესახებ".

დიახ, დე-ბაის ძალზე აინტერესებდა წმ. ნინო.

აი, კიდევ მაგალითი:

1898 წლის 15 თებერვალს დე-ბაიმ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის გეოგრაფიულ საზოგადოებაში. გაზეთი „ივერია" (№ 39) აღნიშნავდა, რომ დე-ბაიმ თავის გამოსვლაში აგვიწერა ჯერ დარიალის ხეობა თავისის უზარმაზარის კლდეებითა და გაშმაგებულის თერგით, თა-

მარის ციხე, სოფელი სიონი, მყინვარი — ეს თავი და თავი თოვლიან მწვერვალთა შორის, კავკასიონის ქედი და სხვა საუკეთესო ადგილები საქართველოს სამხედრო გზისა. მერე რეფერანტმა მოიხსენია მცხეთა, როგორც საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქი, სადაც ყველა ქართველთა მეფენი ტახტზე ასვლის წინ იკურთხებდნენ ხოლმე გვირგვინს, აღნიშნა ამ ძველის ტაძრის შესანიშნავი ხუროთ-მოძღვრება და, საზოგადოდ, მცხეთის ისტორიული მნიშვნელობა ქართველებისათვის, შეეხო აგრეთვე მეფე მირიანის დროს და საქართველოს განმანათლებელ ნინოს. მცხეთის შემდეგ სულ მოკლედ აგვიწერა ქ. ტფილისი, მოიხსენია მისი ძველი ნაწილი თავის გალავნის ნანგრევებით, სიონის ტაძარი და წმ. ნინოს ჯვარი".

1899 წელს ბარონ დე-ბაის თბილისში ყოფნისას ილიასეულმა „ივერიამ" 29 ოქტომბერს გამოაქვეყნა წერილი: „წმ. ნინოს თაყვანისცემა საფრანგეთში".

ერთი ადგილი ამ წერილიდან: ცნობილ ფრანგ მოგზაურს და სწავლულს ბარონ დე-ბაის, რომელიც ამჟამად ტფილისშია, შემდეგი საინტერესო ცნობები გადაუცია გაზეთ „კავ."-სათვის ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ, საიდგანაცა სჩანს, რომ ამ წმინდანს საფრანგეთშიაც თაყვანსა სცემენ. ბარონ დე-ბაის სიტყვით, „საფრანგეთის შემდეგს ეპარქიებში: რეიმსისა, შალონისა და სხვებში მრავალი ეკლესიაა აგებული წმ. ქრისტიანი ქალის (Sritt Cbpetienne) სახელზედ. შამპანის დეპარტამენტში ყველაზე მეტად ამ წმინდანსა სცემენ პატივს. როგორც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, ეს წმინდანი და წმ. ნინო ერთი და იგივე ყოფილა".

ბარონ დე-ბაის შეხვედრა ჰქონია რეიმსის მთავარ ეპისკოპოსთან, რომელსაც გამოუთქვამს მოსაზრება, რომ წმინდა ქრისტინე და წმინდა ნინო ერთიდაიგივე წმინდანია, სწორედ ამის შემდეგ დაინტერესებულა ფრანგი მწერალი წმინდა ნინოს პიროვნებით.

დე-ბაი წერდა: „წმ. ქრისტიანე, ივერთ განმანათლებელი, რომის კათოლიკეთა ზოგიერთ კალენდარში ქალწულ ნინოდ წოდებული, რომის ეკლესიაში აღნიშნულია 15 დეკემბერს ახალის სტილით. წმ. ქალწულის ცხოვრება აღწერილია რუფინისაგან, რომელმაც საჭირო ცნობები ივერთა ერთის თავადისაგან მიიღო. ამ თავადს რუფინი იერუსალიმში შეხვედრია. რუფინს დაჰვიწყებია წმინდანის სახელი და ნინოს ნაცვლად მისთვის ტყვე — ქრისტიანე უწოდებია. შემდეგ სასულიერო ავტორებსაც ასევე სახელი უხმარიათ. ბოლოს, ზოგადი სახელი ქრისტიანე საკუთარ სახელად გადაქცეულა. მას შემდეგ წმ. ნინოს იხსენიებენ ასე: „ქრისტიანე ქალწული. შარდენი თავისს მოგზაურობაში (XVII საუკ.) ქართველთ განმანათლებელს უკვე Ninone უწოდებს. როდესაც აკადემიკოსმა ბროსსემ 1849 წელს „ქართლის ცხოვრების" თარგმანი გამოაქვეყნა, ყველაფერი გაირკვა. ამის შემდეგ რომის კათალიკოსთა სასულიერო მწერლებმა წმინდანს ნამდვილი სახელი დაუბრუნეს და უწოდეს ქართველთ განმანათლებელი ნინო".

ფრანგი მწერლის დე-ბაის დიდ დაინტერესებას წმინდა ნინოს პიროვნებით ადასტურებს ასეთი მოკლე ცნობაც გაზეთ „ცნობის ფურცლიდან": პარიზიდან გვწერენ: ევროპაში ჩვენს ისტორიას, განსაკუთრებით საეკლესიოს, თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ დიდს სამსახურს გვიწევს არქეოლოგისი ბ-ნი ბარონი დე-ბაი. მისის რჩევით, აქაური სწავლული აბატი ბონიე, წევრი საფრანგეთის სიძველეთა საზოგადოებისა, გულმოდგინედ შეუდგა წმ. ნინოს იკონოგრაფიის შესწავლას და საჭირო მასალის შეგროვებას. ეს შრომა ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება პარიზში".

ძალზე საინტერესოა გამოიცა თუ არა აბატი ბონიეს ნაშრომი პარიზში. ხომ არ შეიძლება მისი მიკვლევა?

1 1902 წლის გაზეთ „ივერიაში" (№ 208) ვკითხულობთ ცნობა: „რეიმსის მთავარ-ეპისკოპოსს მიუწერია სტამბოლში მამა ფარჯუსათვის, იქნებ ამ კითხვების პასუხი შემიტყო საქართველოშიო. მამა ფარჯუს მიუმართავს წერილით ბ-ნ მ. ჯანაშვილისთვის, რომელიც პასუხს გაუგზავნის დანიშნულებისამებრ". იქვე დაბეჭდილია რეიმსის ეპარქიის (საფრანგეთის) მთავარ-ეპისკოპოსის შეკითხვები. რომლებიც მთლიანად წმინდა ნინოს სახელთანაა დაკავშირებული.

საინტერესოა ეს კითხვები.

აი, ზოგიერთი მათგანი:

— „ორი წერილის გარდა, რომელიც დაიბეჭდა 1874 წელს „ეტიუდებში", მამა დარასის დაუტოვებია თუ არა რაიმე ნაწარმოები და შენიშვნები წმ. ნინოსა და საქართველოს მოქცევის შესახებ?

— ისევ მიგაჩნიათ თუ არა ნამდვილ ისტორიულ წყაროდ ვახტანგისაგან შეკრებილი საქართველოს მატიანეები და ბროსესაგან 1849—1858 წლებში დაბეჭდილი პეტერბურგს?

— ისტორიულ საბუთად ითვლება თუ არა ამ მატიანეს გადმოცემული ცნობები წმ. ნინოს ცხოვრებისა და მის მოციქულებრივ მოღვაწეობის შესახებ?

— გადმოცემები შესახებ უფლის კვართისა ახსოვს ერს თუ არა? კვართის გამოსახულება ისევ დარჩენილია საქართველოს გერბში? თუ კვართი დაიკარგა, შეიძლება გავიგოთ, რომელს წელს? რა ცნობებია დაშთენილი შესახებ იმისა, რომ კვართი წარიტაცეს 1625 წელს?

— რა მოუვიდა წმ. ნინოს ვაზის ჯვარს, რომელსაც უკვე თაყვანს სცემდნენ მე-13 საუკუნეშივე სამების მონასტერში? სადაა სამება? წმ. ნინოს მაყვლოვანი ნაშთი დღესაც არის მტკვრის პირზე, სამთავისის (სამთავროს) მონასტერთან? მცხეთის ახლოს დღესაც არის თუ არა?

— უქმობენ თუ არა დიდ-გამოჩინებით წმ. ნინოს დღესასწაულს 14 იანვარს და სვეტიცხოვლობას 1-ს ოქტომბერს? შეიძლება მოიძიოს კაცმა ამ ორის დღესასწაულის დაუჯდომელები და წირვისა და სხვა ლოცვები და, საზოგადოდ კი წმ. ნინოსი, აგრეთვე წმ. ნინოს ხატები?

— სად არის ბოდბე, წმ. ნინოს გარდაცვალების ადგილი და ისევ იქვეა წმ. გიორგის სახელობაზე აგებული ტაძარი?

— საქართველოში ან სადმე სხვაგან არის თუ არა წმ. ნინოს ცხოვრება და ანუ ქართლის მოქცევა?

— რა და რა წყაროებით უმჯობესია იხელმძღვანელოს კაცმა შესახებ წმ. ნინოს ცხოვრებისა, საყდრისა და სხვ.?"

რეიმის მთავარეპისკოპოსის კითხვები დამაჯერებლად მეტყველებენ საფრანგეთში წმ. ნინოს პიროვნებით დიდ დაინტერესებაზე.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1902 წლის სურათებიან დამატებას (№ 23) ვფურცლავთ.

და აი, სათაური — „წმ. ნინო საფრანგეთის წმინდანი". სათაურის ქვეშ წმ. ნინოს ნახატია. დიახ, როგორც ეს საფრანგეთში ჰქონდათ წარმოდგენილი. ნახატს თან ჰქონდა დართული საფრანგეთიდანვე გამოგზავნილი მოკლე ცნობა წმ. ნინოს შესახებ.

საქართველოსა და საფრანგეთს შორის კულტურული თუ სულიერი ურთიერთობის ისტორიას მრავალი შესანიშნავი ეპიზოდი შემორჩა. ფრანგები ყოველთვის ისწრაფოდნენ გასცნობოდნენ საქართველოს და ქართველები — საფრანგეთს.

წმინდა ნინოს პიროვნებით საფრანგეთში დაინტერესება ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

**ანდრე კარბელაშვილი**

# რაკი გული გულობს

## სანქტ-პეტერბურგშიც ფუნქციონირებს ქართული სკოლა



სკოლის აღსაზრდელები



პედკოლექტივი

ქართველი კაცის ბუნება ასეთია: რაგინდ კარგად მიუდიოდეს საქმეები, რა ბედნიერიც გინდა იყოს, თუკი გვერდით სხვა ქართველი არა ჰყავს, რომელსაც მისი ბედნიერება უხარია, გვერდით უდგას, სუფრაზე ჭიქას მიუჭახუნებს და დედმამიშვილების სადღეგრძელოს დაულევს, ან ეჯიბრება და ექიშპება, ზოგჯერ იქნებ შურს კიდეც თეთრი შურით თანამემამულის წარმატება, ისე მისი სიხარულის სპექტრს რომელიღაც მნიშვნელოვანი ფერი აკლია. მოკლედ, მისი ბედნიერება (ასე გასინჯეთ, უბედურებაც კი) სრულყოფილი არ გახლავთ. ამიტომ სადაც კი 5-6 ქართველი მოიყრის თავს, იქვე გაჩნდება საყვარელი და ნოსტალგიური სიტყვა სათვისტომო. სათვისტომო,ცხადია, სასხვისშვილოში უნდა აღმოცენდეს, სადაც ადამიანი თავისდაუნებურად ყველგან და ყოველთვის თავისიანს ეძებს.

ასე მოხდა ამ ათიოდე წლის წინათ სანქტ-პეტერბურგში. იქ მცხოვრებმა ქართველმა ექიმმა კახა გიორგაძემ და მისმა ძმამ დავითმა ჩამოაყალიბეს ქართული სათვისტომო „ივერია", რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ ორჯონიკიძე.

საქმე სიყვარულით და ხალისით დაიწყო და არც შეჩერებულა. გახსნეს ქართული ენის შემსწავლელი კურსები, თბილისიდან ქორეოგრაფი მოიწვიეს, ბავშვებისათვის ქართული ცეკვები რომ ესწავლებინა.

ხუთიოდე წლის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარედ დაინიშნა ბადრი კაკაბაძე „პეტროხოლდის" ქარხნის დირექტორი. მისი დიდი მონდომების შედეგია ქართული ეკლესიის აღდგენა სანქტ-პეტერბურგში და ქართული საშუალო სკოლის დაარსება, ორი დიდი სულის საოხი საქმე.

ქართული სკოლის გახსნის იდეა კახა გიორგაძეს ეკუთვნის და იქაურმა ქართველებმა აუცილებელ საქმედ მიიჩნიეს, რადგან აფხაზეთიდან ლტოლვილ ბავშვებს ძალზე უჭირდათ რუსულ სკოლებში სწავლა და ლტოლვილი პედაგოგებისთვისაც საყვარელ საქმესთან დაბრუნება სულიერად და ნივთიერად პირდაპირ მისწრება იქნებოდა.

პეტერბურგელი ბიზნესმენის სოსო კუტალიას და ბადრი კაკაბაძის მატერიალური მხარდაჭერით კახა გიორგაძე მოსკოვში გაგზავნეს იქაური ქართული სკოლის მუშაობის გასაცნობად.

და აი, 1995 წლის 16 სექტემბერს პირველმა ზარმა პეტერბურგის ქართულ სკოლაში მოუხმო ამ დღის მოუთმენლად მომლოდინე ბავშვებს.

ქართული სახელმძღვანელოები, პროგრამები და მეთოდური მასალები სათვისტომოს წარმომადგენლებმა თბილისიდან წაიღეს. სკოლის ოფიციალური დამფუძნებელია საზოგადოება „ივერია“.

მართალია, სკოლა დროებით პეტერბურგის 306-ე საშუალო სკოლის შენობაშია განთავსებული, მაგრამ ბადრი კაკაბაძისა და ბორის ბერულავას დახმარებით, უკვე დაიგულეს საკუთარი შენობა.

დამფუძნებლები ახლა აქტიურად იღწვიან საავტორო სკოლისა და საზაფხულო სკოლის შექმნაზე.

ქართული სკოლა, როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართული კულტურის ცენტრად იქცა. უამრავი ქართველი და უცხოელი ესწრებოდა სკოლაში მოწყობილ ზეიმებს: დედა ენის დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს — 26 მაისს, საშობაო ზეიმს.

სკოლის დირექტორის დარეჯან ჩხეიძის, სასწავლო ნაწილის გამგის მანანა რატიშვილის, პედაგოგების, მშობლებისა და ბავშვების მონდომებით ამ ზეიმებზე ქართული სულიერება ზეიმობდა. ისმოდა ქართული ჰანგები და ქართული საცეკვაოს ცეცხლოვანი რიტმები. მონატრებულ სამშობლოში ყოფნის ილუზია მთლად ხელშესახებად ჩანდა.

მაგრამ საკმარისია თვალებში ჩახედო ლტოლვილ მასწავლებლებს, სულ ორიოდე სიტყვით გაესაუბრო, რომ თვალწინ დაგიდგებათ ის მწარე დღეები, სოხუმის დაცემას რომ მოჰყვა იქაური ქართველებისათვის. ნაღველი ღრმაა და წარუშლელი.

**სვეტლანა არდაშელია:** პეტერბურგში დაწყებით კლასებს ვასწავლი. სოხუმში № 1 ქართული სკოლის მასწავლებელი ვიყავი. სოხუმის დაცემის დღემდე წამოსვლაზე არ გვიფიქრია. როცა ჩვენ ბავშვების გადარჩენის მიზნით გამოღწევას ვეცადეთ, უკვე გვიან იყო. დიდი წვალების შემდეგ უკრაინის სამხედრო გემმა აგვიყვანა. ასე გადამირჩა ქმარი და ორი შვილი.

ჩვენი მასწავლებლების უმრავლესობას ასეთი საშინელი დღეები აქვს გადატანილი.

**ირინა ჯონჯუა,** თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტი: სოხუმის დაცემის დღიდან ერთი საშინელი კვირა იქ დავყავი. ენა ვერ იტყვის, რა საშინელებათა მოწმე გავხდი. ჩემი მშობლების სახლი გალის რაიონის სოფელ ოქუმში აფხაზებმა დაწვეს. რაღაც სასწაულით მოვხვდი თვითმფრინავზე, რომელმაც სამშვიდობოს გამომიყვანა.

**ვიოლა ბასარია,** ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი: ადრე სოფელ ოქუმში ვასწავლიდი. ჩემს სახლ-კარსაც იგივე ბედი ეწია. სოფელში ფერფლის მეტი აღარაფერი დამრჩა.

**მაყვალა ბერულავა:** ადრე სოხუმში მუსიკის მასწავლებელი ვიყავი. იმ უბედურებაში მცირეწლოვანი ქალ-ვაჟით გამოვაღწიე სამშვიდობოს. მეუღლე ბოლო წუთამდე იცავდა ქალაქს, სახლ-კარს. ბოლოს სვანეთის გზით ფეხით გადმოვიდა. ბათუმში ვიპოვეთ ერთმანეთი და სანქტ-პეტერბურგში ჩამოვედით.

სხვადასხვა გზით მოხვდნენ ნევისპირა ქალაქში აფხაზეთიდან ლტოლვილი პედაგოგები შორენა ქვაჩახია, პეტერბურგის ქართული სკოლის პირველი დირექტორი მარინა დოჩია, ინგა ტორუა, ეთერ შონია, გულნაზ ჭკადუა, სვეტლანა ბოკერია, თამაზ ბასარია, მარინა ბიბლაია, ნუნუ ესართია, რუსუდან სამუშია. ლტოლვილების გარდა ქართულ სკოლაში თავი მოიყარეს სხვა ქართველმა პედაგოგებმაც: ელგუჯა ობოლაშვილმა, ელისო ვაშაყმაძემ, მარიამ ვაშაკიძემ, ნინო რამიშვილმა, მურთაზ ჭანტურიამ, მთვარისა კვიტაიშვილმა, მანანა ბუიძემ, მზია ვერძაძემ. პედაგოგებიც და მოსწავლეებიც სკოლაში ისე მოდიან, როგორც ზეიმზე. ერთმანეთის ნახვა უხარიათ, ერთმანეთისა ესმით და, რაც მთავარია, ყველგან მშობლიური ქართული ისმის.

ჩვენი თხოვნით მოსწავლეებმა პატარა თხზულებები დაწერეს, ვერც ამ თხზულებებში ასცდნენ ტრაგიკულ ამბებს, ალბათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ ეს დარდი და ნაღველი.

აი, ნაწყვეტი IX კლასის მოსწავლის თხზულებიდან:

„თენგიზ გვასალია ერთადერთი იმედილაა იმ ქალისა, რომელმაც სოხუმის ომის საშინელება გადაიტანა. ქალბატონი მარინე ადრე დაქვრივდა, მაგრამ ორ ვაჟიშვილს ჩინებულად ზრდიდა. უფროსი — რუსლანი, დაიწყო თუ არა აფხაზეთის ომი, სოხუმის ბატალიონ „იუპიტერში“ ჩაეწერა. თითქმის წელიწადი იბრძოდა ვაჟკაცურად. არც სექტემბრის დღეებში დაუტოვებია სოხუმი თავის გადასარჩენად. 2 სექტემბერს დაზვერვაზე წასული რუსლანი უკან აღარ დაბრუნებულა. დედა ელოდა და დღესაც ელის თავის ვაჟკაცს, მაგრამ თენგოს სიცოცხლის გადასარჩენად იგი ვალდებული იყო დაეტოვებინა ცეცხლმოდებული სოხუმი.

27 სექტემბერს მარინას ძმა გიორგი აბლოთია რამდენიმე თანამოქალაქესთან ერთად დახვრიტეს. ვერც ძმა დაიტირა გამწარებულმა ქალმა. ყველაფერი დაკარგა გარდა რწმენისა, რომ რუსლანი ცოცხალი დაუბრუნდება. რწმენა დიდი ძალაა“.

1996 სასწავლო წლის კურსდამთავრებული **გიორგი ბულისკერია:**

„ძნელი გამოცდა მარგუნა ბედმა. დედამ და შვილებმა კი გამოვაღწიეთ სამშვიდობოს, მაგრამ მამას შეიარაღებული აფხაზები დახვდნენ და უიარაღო თანასოფლელები დახოცეს.

ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე კიდევ მოვესწრებოდი ქართულ სკოლაში სწავლას ჩემი ოქუმის შემდეგ, სადაც პირველი გაკვეთილი ჩაგვიტარდა და სადაც სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადებას გვასწავლიდნენ.

მაგრამ რა დიდი სიხარული განვიცადეთ აქ, პეტერბურგში ისევ მშობლიურ ქართულ სკოლაში რომ შემოვუსხედით მერხებს.

ჩემო სკოლავ, მასწავლებლებო, ბატონო ბადრი, ბატონო კახა, დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ დაგვიბრუნეთ ბედნიერი დღეები, გაგვიმთელეთ ნაჭრილობევი გული, სანქტ-პეტერბურგში ქართულ ენაზე აგვამღერეთ. თუ პირველი ზარი ჩემთვის სამურზაყანოში დაირეკა, ბოლო — აქ პეტერბურგში და ეს თქვენი წყალობა იყო“.

აი, ასე სწავლობენ ნევისპირ ქალაქში ქართველები, ცხოვრ ბენ გუშინდელი, დღევანდელი დ ხვალინდელი დღით.

**მანანა გორგოძე,**
**ნარგიზა მგელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...ლექსიც დამიწერია და მოთხრობაც და მერე გამცინებია!..“

... შავებში ჩაცმული შუახნის მანდილოსანი ჯიუტად ცდილობდა თელავის რაიონის გამგებლის მედეა მეზვრიშვილის კაბინეტში შეღწევას. მას უხსნიდნენ, გამგებელთან ნებისმიერ დროს ნებისმიერ საკითხზე შესვლა არ შეიძლება, ამისათვის მას მოადგილეები ჰყავს და იმათ მიმართეთო. — მე ქალბატონ მედეას უნახავად ფეხსაც არ მოვიცვლიო, — ბავშური სიკერპით იმეორებდა კარს აკრული ქალი, — მოადგილეს რა თავში ვიხლი, წინდაწინ ვიცი, რა პასუხსაც მივიღებ. მედეასთან უნდა შევიდე. ის მომისმენს კიდეცა და წესიერ პასუხსაც გამცემსო.

ჩვენს სინამდვილეში მოკლე დროში იმდენი რამ მოხდა, არც კი მჯეროდა, რომ ვინმეს კიდევ რაიმე ან ვისიმე იმედი შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ, გინდ — დაიჯერეთ, გინდ — არა, მედეა მეზვრიშვილი დღეს კახეთში ისევე პოპულარულია, როგორც ამ ორი ათეული წლის წინ, ალმასკომის თავმჯდომარის სავარძელში მჯდომი, როცა მისი ერთი რეზოლუცია, ან ერთი სატელეფონო ზარი ბევრ რაიმეს წყვეტდა.



ამბობენ, ადამიანის ბედს მისი ხასიათი განსაზღვრავსო. და, ალბათ, სწორედ ხასიათმა აქცია საგარეჯოელი ერთი პატარა პროვინციელი გოგო ჯერ კახეთის მმართველ ელიტის წევრად, შემდეგ კი — მის ლიდერად. და მას შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში მედეა მეზვრიშვილი კახეთში პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელი გახდა.

დღესაც მედეა მეზვრიშვილის უდავოდ კოლორიტული ფიგურა ბევრს არ აძლევს მშვიდი, მოსვენებული ძილისა და მუშაობის საშუალებას: მათაც, ვისაც უბრალოდ ეშინია მისი ოთარაანთ ქვრივისებური პილპილმოყრილი მადლისა და მათაც, ვინაც პოპულარობის რეიტინგით ჯერაც ვერა და ვერ აჯობა ამ დღემდე ამოუცნობი შინაგანი პიროვნული ძალის მქონე ქალს, რომელიც უწინდებურად ძველ ბედაურზე ამხედრებული, კვლავინდებური შემართებით იგერიებს ოპონენტებს. მოწინააღმდეგენი კი მრავლად ჰყავს: მავანის აზრით, მედეა მეზვრიშვილის მმართველის პოსტზე პოლიტიკური რეანიმაცია ტიპიური გამოხატულებაა კომუნისტური რეჟიმის რესტავრაციის მცდელობისა, სხვა მის ლიდერობას პრეზიდენტის წყალობად მიიჩნევს, კიდევ უფრო სხვა, დიდ პოლიტიკაში ნაკლებგაუშმაკებული კი, გაოცებით იჩეჩავს მხრებს: კახეთს ეგ იცნობს და საქმის კეთება მაგან იცის, და მა ვინ უნდა უხელმძღვანელოსო?“.. ერთი სიტყვით, მედეა მეზვრიშვილის არაორდინარული პოლიტიმიჯი ისევ და ისევ იქცევს საზოგადოების ყურადღებას. პრესაში აქტიურად თავს ესხმიან, ხალხში აქტიურად უგონებენ ნახევრადანეგდოტურ ჭორებს. იმასაც ამბობენ, მედეა მეზვრიშვილი კახეთში ერთადერთია, ვისი სიტყვა და საქმე სჭრისო. თუ გულით იტყვის, თავს მოიკლავს და გააკეთებსო. თუმცა, საბედნიეროდ, საქმე თავის მოკვლამდე არ მისულა და არც პარადი დაცვის აყვანა უფიქრია: მაშინაც კი, როცა საშინაო პოლიტიკის ქარი წაღმა-უკუღმა უბერავდა და ეროვნული პოლიტიკური დავიდარაბის გადამკიდე ყოველი მოსახვევიდან ტყვიების ჭახაჭუხთან ერთად ნანასავით მოისმოდა „რომელ პარტიას ეკუთვნი, ბარნაბაო“... მედეა მეზვრიშვილს არც არასდროს დაუმალავს „რომელ პარტიას“ ეკუთვნოდა და არც დღეს მალავს. და, სხვათაშორის, ზოგ-ზოგისაგან განსხვავებით, წარბშეუხრელად შეუძლია ილაპარაკოს საკუთარ კომუნისტურ წარსულზე:

— მე, როცა კომუნისტი ვიყავი, მაშინაც სამშობლოს ვემსახურებოდი და როცა აღარა ვარ, მაშინაც. სხვათაშორის, იმ კომუნისტურ ეპოქაში არავის დაუშლია ქვეყნისა და ხალხის სამსახური. თუკი ხელმძღვანელს დაარწმუ-

ნებდი ამა თუ იმ სასიკეთო საქმეში, ვინ იყო დამშლელი, პირიქით! იცით, რას გეტყვით, დისიდენტები იქნებ ჩვენ უფრო გვერქვა მაშინ, საერთოდ კი არც სამშობლო იცვლება და არც ხალხი, ჰოდა, თუ სამშობლოსა და ხალხს ემსახურები და პირად სარგებელზე არ ფიქრობ, რა დროც უნდა დადგეს, ვერაფერს დაგაკლებს. ამიტომაც მიტანს, ალბათ, ხალხი.

**— გქონიათ შემთხვევა, როცა ცხელ გულზე დაუმსახურებლად მოგიხსნიათ ადამიანი თანამდებობიდან და მერე გინანიათ?**

— იცით, რას გეტყვით თქვენა, მე, როცა დამსახურებულად ვხსნი კაცს სამსახურიდან, მაშინაც მენანება. ვდარდობ და განვიცდი, იმიტომ, რომ ადამიანია და პიროვნულად მებრალება, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ ასეა საჭირო.

**— დღეს ბევრ თანამდებობის პირსა და პოლიტიკურ ფიგურას პირადი დაცვა ჰყავს. თქვენ არც უწინ და არც დღეს პირადი დაცვა არ გემსახურებათ. როგორც ჩანს, მტრები არ გაშინებთ, ან იქნებ სრულებით არ გყავთ ისინი?**

— იცით რა, მე არა მჯერა, რომ ვინმე გამიმეტებს და მომკლავს, რადგან ისეთი არაფერი ჩამიდენია. შეიძლება კაცს ვაწყენინო, მაგრამ არავის დავუჯდი უკანონოდ... მშიშარა კაცი ასჯერ ისჯება, ვისაც თავისი ქვეყანა და ხალხი უყვარს, იმან თავიც უნდა გასწიროს. მე ისეთი არაფერი დამიშავებია ვისმესთვის, მესროლონ, თუკი მესვრიან და, ალალი იყოს იმათზედა!

**— ამბობენ, თქვენს ქვეშევრდომებს თქვენი სჯერათ, მაგრამ იმავ დროს, გასროლილ ტყვიასავით ეშინიათ თქვენი. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— შიშით არა მგონია. ალბათ ეგ უფრო ხათრია, ვიდრე შიში. საერთოდ კი იციან, რომ მე ისეთ რამეს არ მოვითხოვ, რასაც თავად არ ვაკეთებ, ამიტომ საკუთარ თავსაც არ ვაპატიებ იმას, რაც მათ არ ეპატიებათ.

**— საზოგადოების გამორჩეულ პიროვნებას, მით უმეტეს ხელმძღვანელს, მუდამ თან სდევს ათასი მითქმა-მოთქმა. აქცევთ თუ არა ყურადღებას ჭორებს თქვენს შესახებ?**

— არასოდეს. როცა ვიცი, რომ მართალი ვარ, ჭორი ვერაფერს დამაკლებს. ჭორებს რომ ავყოლოდი, აქამდე გული ათასჯერ უნდა გამხეთქოდა.

**— თქვენ ნახევრადხუმრობით „კახეთის რკინის ლედის" გეძახიან. ნუთუ მედეა მეზვრიშვილს სუსტი ადგილი არა აქვს?**

— იმდენი სუსტი ადგილი მაქვს, მეტი რომ არ შეიძლება. როგორც ხელმძღვანელს, ნაკლი ის მაქვს, რომ გულჩვილი ვარ და ადამიანი, რაც უნდა მტყუანი იყოს, მაინც მებრალება.

**— ასეთ გულჩვილს, ლექსი თუ დაგიწერიათ ცხოვრებაში, თუნდაც ახალგაზრდობაში?**

— ლექსიც დამიწერია და მოთხრობაცა და მერე გამცინებია.

**— თქვენ ოჯახი არ შექმენით და მაინც, როგორი უნდა იყოს იდეალური მამაკაცი?**

— აბა მაგას მე რას მეკითხებით?!... ეგა კიდევ თქვენ თავად დაწერეთ.

**— თქვენი სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, უწინაც გქონდათ და დღესაც გაქვთ საშუალება ბავშვი იშვილოთ და გაზარდოთ. რატომ არ აკეთებთ ამას?**

— იმდენი ბავშვი მყავს ირგვლივ... ყველას მე ვზრდი: ძმისშვილები, მათი შვილები... ბავშვი რომ გაზარდო, შინ უნდა იყო, მთელი ყურადღება მას დაუთმო. მე კი შინიდან სულ გასული ვარ, ამიტომ ისევ იმას ვამჯობინებ, ვისაც საკუთარი დედა ჰყავს, მას დავეხმარო.

**—სამზარეულოსათვის თუ იცლით. აი, მაგალითად, საჭმელი გემრიელი თუ გამოგდით, და საერთოდ, გიყვართ სამზარეულოში ტრიალი?**

— კერძების კეთება ძალიანაც მიყვარს და გამომდის თუ არა კიდევ, ეს ჩემს მეგობრებსა ჰკითხეთ.

ცნობისათვის; ქალბატონ მედეას მეგობრების ინფორმაციით, „მედეას ძალიან გემრიელი ხელი აქვს და გვარიანი მამა-პაპური სადილების კეთებაც შეუძლია".

მედეა მეზვრიშვილი „იმ დროშიც" და დღესაც ყველაფერი პროგრესულის მოთავედაა ცნობილი. თელავში წარსულ წლებს რომ გადავხედოთ, ყველა მსხვილი ობიექტი: თელავის სტადიონი, ინტურისტის კომპლექსი, ერეკლეს ძეგლი, თეატრის შენობა მის ხელმძღვანელობასთანაა დაკავშირებული, და ალბათ, ამიტომაა, რომ წელს ერეკლეობის დღესასწაულზე თელაველებმა იგი თელავის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს...

**— ამბობენ, მედეა მეზვრიშვილს ძალიან უყვარს თეატრიო. ვიცი, რომ თელავის თეატრსაც საკუთარ ქომაგად ეგულებით...**

—აბა რა გითხრათ. თეატრი ჩემი ტკივილია და სიხარული. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, რუსთაველის თეატრი რომ დაიწვა. სკოლაში ვიყავი, ეს ამბავი რომ გავიგე. საგარეჯო ხომ თბილისთან ახლოსაა, ჰოდა, ტირილით წავედი... იცით, როგორ მიყვარდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ნიკოლოზ ბარათაშვილი". უთვალავჯერ მქონდა ნანახი და შემეძლო, ზეპირად მეთქვა ფრაზები სპექტაკლიდან. თელავის თეატრზე კი აბა რა ვთქვა! ძალიან მინდა, რომ შეუფერხებლად იმუშაოს და აღორძინდეს.

**— ქართული დემოკრატია თუკი რაიმეში მჟღავნდება, პრესის თავისუფლებაა. უამრავი ჟურნალი და გაზეთი გამოდის ნაირგვარი ხასიათის, მიმართულების, გემოვნების. როგორია თქვენი დამოკიდებულება თავისუფალი პრესისადმი?**

— იცით, რას გეტყოდით თქვენა: სიმართლეს მივესალმები და რომელმა პრესამაც უნდა, დაბეჭდოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ კაცი შეიძლება ერთი სიტყვით, ერთი ფრაზით მოკლა და მერე იძახო, არ ვიცოდიო.

**— ჟურნალ „საქართველოს ქალზე" რას იტყოდით?**

— აბა, რა უნდა ვთქვა, რაც თავი მახსოვს, სულ მაგ ჟურნალის კითხვაში და გავრცელებაში ვარ...

**— მაშ, ღმერთმა ნუ მოგიშალოთ ნურც ერთი და ნურც მეორე.**

ესაუბრა
**ფიქრია ყუშიტაშვილი**

# ჟორდანიას ინსტიტუტი მრავალ პრობლემას გადაგიწყვეტთ

უპირველეს ყოვლისა მინდა მივულოცო ახალი, 1998 წელი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება ოჯახში და შემოქმედებითი წარმატებები. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე ყოველთვის შუქდებოდა სამედიცინო საკითხები და ვფიქრობ, მკითხველს არ განელებია ინტერესი აღნიშნული საკითხების მიმართ. წარსულშიც და ახლაც ჟურნალი „საქართველოს ქალი“ ნაყოფიერად თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტთან. ჟურნალში ხშირად იბეჭდება ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა სტატიები რეპროდუქტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. დღეს ძნელია გამოყო ქართველი ხალხისათვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე უნაყოფობის მკურნალობა, ოჯახის დაგეგმვაა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმ მიღწევათა და სიახლეთა განხილვა, რომლითაც ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი შეეგება ახალ წელს. ინსტიტუტის სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ყველა მიღწევა კი თავისთავად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ხალხის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

ტრადიციულად ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უნაყოფობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას. **ფაქტობრივად დღეისათვის ჟორდანიას ინსტიტუტი არის ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაშიც, სადაც ურთულესი და უნატიფესი გინეკოლოგიური ოპერაციები წარმატებით სრულდება ენდოსკოპიური (ლაპარასკოპიული) ტექნიკის გამოყენებით.** ამ მეთოდის უპირატესობა არა მარტო კოსმეტიკური ეფექტით შემოიფარგლება (მუცელზე ნაწიბურის არარსებობა). არამედ მას დიდი სამედიცინო მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ასეთი ოპერაციების შედეგად მუცლის ღრუში არ ვითარდება შეხორცებები, რაც ასე მნიშვნელოვანია მომავალში უნაყოფობის პროფილაქტიკის თვალსაზრისით. ლაპარასკოპიული ოპერაციის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება შრომისუუნარობის პერიოდი, ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ პაციენტს შეუძლია სიარული.

ამასთან, ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა აღნიშნული ენდოსკოპიური ოპერაცია კეთდება მაქსიმალურად დამზოგავად, შემლებისდაგვარად რეპროდუქციული ორგანოების შენარჩუნებით, რაც მომავალში ნაყოფიერების აღდგენის საწინდარია.

ასეთი ოპერაციების მაღალეფექტურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საკვერცხეების კისტების, საკვერცხეების პოლიკისტოზის, საშვილოსნოს მილების სხვადასხვა პათოლოგიების, საშვილოსნოს მიომის გამო ნაოპერაციები 6000 პაციენტიდან ორსულობა მიღებული იქნა შემთხვევათა 84-64 პროცენტში.

ინსტიტუტის მუშაობაში ასევე მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტურია უნაყოფობისა და გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური დარღვევების კონსერვატიული მკურნალობის თანამედროვე, უახლესი მეთოდები, ვინაიდან ამ შემთხვევებში გამოყენებული ჰორმონოთერაპია ეყრდნობა ჰორმონალურ გამოკვლევებს და ფუნქციონალურ დიაგნოსტიკას. სამწუხაროდ, აღნიშნული მეთოდებით რეპროდუქციული დარღვევების სწორი მკურნალობა საქართველოში დღემდე რჩება მხოლოდ ჟორდანიას ინსტიტუტის პრეროგატივად.

უკვე ხუთი წელია, ჟორდანიას ინსტიტუტში წარმატებით ფუნქციონირებს მამოლოგიის განყოფილება, რაც რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევის მქონე ქალებში სარძევე ჯირკვლების სხვადასხვა სიმსივნური პროცესების და სარძევე ჯირკვლევის ავთვისებიანი სიმსივნეების წინა მდგომარეობების ნაადრევი გამოვლენის და მკურნალობის საშუალებას იძლევა. თვით ქალებისთვისაც ფსიქოლოგიურად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მათ სარძევე ჯირკვლების პროფილაქტიკური შემოწმება შეუძლიათ არა ონკოლოგიურ დაწესებულებებში, არამედ ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ინსტიტუტში არსებული წესი ყველა პაციენტის კოლპოსკოპიური გამოკვლევისა, საშვილოსნოს ყელის სიმსივნური პროცესების ადრეული გამოვლინების მიზნით. ამდენად ვფიქრობ, ამის შესახებ უნდა იცოდნენ ქალებმა და უფრო თამამად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ბარიერების გარეშე მოგვმართონ პროფილაქტიკური შემოწმების მიზნითაც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიახლე ინსტიტუტის მუშაობაში, რომელიც ეხება ე. წ. „in vitro“, ექსტრაკორპორალური, ხელოვნური განაყოფიერების განყოფილებას. მიუხედავად რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული ენერგეტიკული, ეკონომიკური თუ სხვა სირთულეებისა, განყოფილებამ მაინც შეძლო დაეწყო მუშაობა საკმაო წარმატებით. უნაყოფობის მკურნალობის ეს ურთულესი და უნატიფესი მეთოდი მოითხოვს როგორც მეტად მაღალკვალიფიციურ კადრებს, რომლებიც უკვე მომზადდნენ მსოფლიოს წამყვან კლინიკებში, ასევე მეტად ძვირ და ნატიფ აპარატურას, რომელთა აუცილებელი ნაწილი უკვე შეძენილია. დანარჩენი აპარატურის შეძენა კი კიდევ უფრო გააფართოვებს ამ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. „in vitro“ განაყოფიერება დღეისათვის ითვლება უნაყოფობის მკურნალობის ყველაზე მაღალეფექტურ მეთოდად, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საშვილოსნოს გაუვალი მილების, უცნობი გენეზის უნაყოფობის, მამაკაცებში სპერმატოგენეზის დარღვევის არსებობისას. ამ მეთოდის დახმარებით ორსულობის მიღწევა შესაძლებელია დონორის (სხვა ქალის) კვერცხუჯრედის და სუროგატული დედის (სხვა ქალის საშვილოსნოში ემბრიონის გამოზრდა) გამოყენებითაც. სპეციალური ტექნიკით შესაძლებელია განაყოფიერდეს კვერცხუჯრედი უნაყოფო მამაკაცის ერთი სპერმატოზოიდით, მძიმე ხარისხის სპერმატოგენეზის დარღვევისას. ამგვარად, აღნიშნული მეთოდის გამოყენება პრაქტიკულად წყვეტს უნაყოფობის მკურნალობის თითქმის ყველა პრობლემას. მიუხედავად ხანმოკლე ფუნქციონირებისა, ინსტიტუტის „in vitro“ განყოფილებაში მიღწეულია მნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელოვანი წარმატებები და მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ არ იცის ამ სიახლის შესახებ და დღესაც დაახლოებით 300-მდე წყვილი წელიწადში დახმარებისათვის მიმართავს რუსეთის ან უცხოეთის სხვა კლინიკებს, სადაც გარდა მგზავრობის და სასტუმროს ხარჯებისა, თვით პროცედურაც სულ ცოტა 10-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჩვენს ინსტიტუტში.

დღემდე რესპუბლიკაში ერთადერთ სერიოზულ ცენტრად ანდროლოგიაში რჩება ჟორდანიას ინსტიტუტის ანდროლოგიური განყოფილება, სადაც განსხვავებით სატელევიზიო რეკლამებისაგან მამაკაცებს 2-3 დღეში კი არ პირდებიან „სრულფასოვანი სქესობრივი ცხოვრების“ აღდგენას, არამედ სრულყოფილი გამოკვლევების საფუძველზე უტარებენ მკურნალობას თანამედროვე მეთოდებით. ნაყოფიერების აღდგენის სიხშირე ასეთ შემთხვევაში 70-75 პროცენტს შეადგენს, ხოლო იმ ოჯახებს კი, რომლებშიც დადგინდება გენეტიკური მიზეზებით განპირობებული მამაკაცის უნაყოფობა, ვთავაზობთ დონორის სპერმით განაყოფიერების მეთოდს. ხოლო სპერმატოგენეზის დარღვევის ზოგიერთი ფორმისას გამოიყენება სპერმის სპეციალური დამუშავება, „გამდიდრება“, რაც ასევე მეტად მაღალეფექტური საშუალებაა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ჟორდანიას ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცევა არა მარტო რეპროდუქციული ასაკის პაციენტებს, არამედ რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების (ბავშვები და მოზარდები) და პერიმენოპაუზალური პერიოდის პაციენტებს. ინსტიტუტში ფუნქციონირებს რესპუბლიკაში ერთადერთი ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური პროფილის განყოფილება, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევს ბავშვებს და მოზარდებს რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების დარღვევებით: მენსტრუალური ციკლის მოშლილობებით, განსაკუთრებით საშვილოსნოდან დისფუნქციონალური სისხლდენებით, სიმსუქნით, ჭარბთმიანობით, სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესებით. ამ განყოფილების მუშაობიდანაც ჩანს კიდევ ერთი გულდასაწყვეტი სინამდვილე: სამწუხაროდ, არა მარტო პაციენტები და მათი მშობლები, არამედ ხშირად ექიმებიც კი ვერ ერკვევიან, რა შემთხვევაშია აუცილებელი ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგის ჩარევა. ფაქტიურად მხოლოდ ასეთი სპეციალისტების ფაქიზი ჩარევა იძლევა რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბებების დარღვევათა ისეთი კორექციის საშუალებას, რომელიც მომავალში თავიდან აგვაცილებს უნაყოფობას და სხვა სერიოზულ დარღვევებს.

ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან დღემდე კლინიკური გენეტიკის განყოფილება მეტად სერიოზულ მუშაობას ეწევა რეპროდუქციული დარღვევების (თვითნებითი აბორტები, განვითარების ანომალიების მქონე ბავშვების გაჩენა, სქესის განვითარების ანომალიები, უნაყოფობა და სხვ.) გენეტიკური მიზეზების დადგენის, სქესის დიაგნოსტიკის და პრენატალური დიაგნოსტიკის სფეროში. სწორედ ამ სფეროშიც რესპუბლიკის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს მაღალკვალიფიციური დახმარება ჟორდანიას ინსტიტუტში.

ინსტიტუტის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას უნაყოფობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობასთან ერთად წარმოადგენს ოჯახის დეგეგმვა. სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო წლებამდე ოჯახის დაგეგმვის ძირითად მეთოდად ხელოვნური აბორტი გვევლინებოდა და მხოლოდ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა პროფ. ა. ხომასურიძე, რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა ბრძოლა ამ ბარბაროსული, ქალის ორგანიზმისათვის დამღუპველი ოპერაციის წინააღმდეგ. ეს მუშაობა ძირითადად ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე უსაფრთხო მეთოდების პოპულარიზაციას გულისხმობს. ამ მიზანს ემსახურება როგორც ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილება, ასევე რესპუბლიკაში შექმნილი რეპროდუქციული კაბინეტები.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამჟამად ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა გაერთიანებული ერების მოსახლეობის განახლების ფონდის (UNFPA) და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ერთობლივ ორწლიან პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს რეპროდუქციული სამსახურის განვითარებას საქართველოში.

ამ პროექტის დამტკიცება კიდევ ერთხელ მეტყველებს ჟორდანიას ინსტიტუტის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე, ვინაიდან ამ პროგრამისათვის გამოყოფილი თითქმის 1 მლნ-მდე თანხა არ წარმოადგენს არც კრედიტს, არც გრანტს, არამედ ეს არის კონკრეტული სუბსიდია კონკრეტული სამუშაოსათვის და ასეთ სამუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციები ანდობენ მხოლოდ სერიოზულ სპეციალისტებს.

ხსენებულ საკითხებზე ბევრი ითქვა, მათ შორის ჩვენს მიერ, მომავალში უფრო ინტენსიური მუშაობაა მოსალოდნელი. საქართველოში ოჯახის დაგეგმვის პრობლემა ვერ შემოიფარგლება თანამედროვე ჩასახვისსაწინააღმდეგო საშუალებებით, ხელოვნური აბორტის პროფილაქტიკის სამედიცინო მნიშვნელობით. ამჟამად დადგენილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მძიმე დემოგრაფიულ სიტუაციაზე ერთადერთი „ხარისხობრივი“ ზემოქმედების საშუალება უმთავრესად თანამედროვე ოჯახის დაგეგმვის პრინციპების დანერგვის პრეროგატივაა.

თქვენი ჟურნალის პატივცემულ მკითხველებს კი კიდევ ერთხელ შევახსენებთ და ვთხოვთ კიდევაც: ნუ გაიკეთებთ ხელოვნურ აბორტს. იგი ღუპავს ქალის ორგანიზმის ქალურ საწყისს. ნუ გაგიკვირდებათ, გვერწმუნეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველასათვის არსებობს არასასურველი ორსულობიდან თავის აცილების ყველაზე თანამედროვე საშუალებები უფასოდ. მათი მიღება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს (რა თქმა უნდა დასაწყისში საჭიროა სპეციალისტის კონსულტაცია), ნებისმიერი რაოდენობით, თუ საჭიროა — ანონიმურადაც. ამაზე მუშაობს დღეს ი. ჟორდანიას ინსტიტუტი და მისი რეპროდუქტოლოგიური კაბინეტები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში.

თანამედროვე ჩასახვისსაწინააღმდეგო საშუალებებიდან, რომლებითაც საქართველო სრულად არის უზრუნველყოფილი, ჩვენს მკითხველებს შევახსენებდით მაღალეფექტურობის მქონე და პრაქტიკულად უვნებელ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ე. წ. „მცირე დოზიანი“ კომბინირებული და ფაზური აბები, „პოსტკოიტალური“ კონტრაცეპტივები, რომლებიც იხმარება დაუცველი სქესობრივი აქტის შემდეგ, როგორც „ავარიული“ საშუალება. საშვილოსნოსშიდა სპილენძიანი „სპირალები“, რომელთა მოქმედების ვადა გაიზარდა 7-10 წლამდე. „პროლონგირებული“ საინექციო საშუალებები 2,5-3 თვის მოქმედების ვადით, ნორპლანტი, რომელიც ეფექტურია 5 წლის განმავლობაში და ა. შ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. რუ-486 ანუ მიფეპრისტონის აბები, რომლებიც ჯერჯერობით იხმარება მხოლოდ ი. ჟორდანიას სახ. ინსტიტუტში. ხსენებული შენაერთი იხმარება მედიკამენტური აბორტისათვის, ანუ ორსულობის შესაწყვეტად ქირურგიული ჩარევის გარეშე, აბის საშუალებით. მიფეპრისტონის ეფექტურობა 95-97 პროცენტს აღწევს.

1997 წ. მაისში თბილისში წარმატებით ჩატარდა გრანდიოზული ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე საშუალებების პოპულარიზაციას, რამდენიმე ექიმი მივლინებული იყო სტაჟირებისათვის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ტარდება ერთკვირიანი სემინარები პრაქტიკოსი ექიმებისა და სამედიცინო პერსონალისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან კონტრაცეპციის სფეროში; შედგა რამდენიმე ვიზიტი უცხოელი ექსპერტებისა, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის შესრულების სწორი ორიენტაცია.

ამასთან, ხაზი გაესვა პროგრამის თანამშრომლობის აუცილებლობას მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლებთან.

თქვენი ჟურნალის ფურცლებზე განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობას და ნაყოფიერებას. ვინაიდან გვწამს, რომ არცერთი სერიოზული სამეცნიერო მიღწევა არ იქნება ისეთი მნიშვნელოვანი, თუ ადამიანებს არ ეცოდინებათ მათ შესახებ, მას ხალხი ვერ გამოიყენებს. ამდენად მიგვაჩნია, რომ ჩვენი ინსტიტუტის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს სწორედ ჩვენი მიღწევების პოპულარიზაცია წარმოადგენს და ამ საქმეში ჟურნალ „საქართველოს ქალს" შეუძლია მეტად დიდი სარგებლობის მოტანა. ვისურვებდით, რომ ჩვენი კოლექტივისა და ჟურნალ „საქართველოს ქალის" თანამშრომლობა და შესაბამისად, მის მკითხველებთან ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო და სასარგებლო ყოფილიყოს.

მივმართავთ „საქართველოს ქალის" მკითხველებს: თქვენ შეგიძლიათ მობრძანდეთ ჟორდანიას ინსტიტუტში რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვასთან წამოჭრილი ყველა პრობლემის გადასაწყვეტად. ჩვენს თანამშრომლობას შესაძლებელია შეკითხვებისა და პასუხების სახეც მივცეთ. მოგვწერეთ, რა გაწუხებთ, რა გაინტერესებთ, არ დაგზარდებით და ყოველთვის სიამოვნებით გიპასუხებთ.

**არჩილ ხომასურიძე,**
ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

**ჯენარო ქრისტესაშვილი,**
კლინიკური გენეტიკისა და რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

## სენსაცია

# „პინგვინი" ამარცხებს დამბლას

**დაბადებიდან საწოლს მიჯაჭვულმა ავადმყოფმა 41 წლის ასაკში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა. ეს მოხერხდა კოსმონავტებისთვის განკუთვნილი კომბინეზონის დახმარებით, ბავშვთა ცერებრალური დამბლის მკურნალობის ამ ახალმა მეთოდმა სენსაციური შედეგები გამოიღო.**

ადრე თვლიდნენ, რომ ამ მძიმე ავადმყოფთა მკურნალობა მხოლოდ ადრეულ ასაკში შეიძლებოდა. თუ რატომ შეუდგნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქსენია სემიონოვა და სერგეი შვარკოვი 41 წლის პაციენტის მკურნალობას, თავადაც არ იციან, ალბათ შეეცოდათ, — სხვა ახსნა არ არსებობს.

ვიაჩესლავ ჩურკინი მოძრაობის აღდგენის ცენტრში ლიპეცკიდან დედამ ჩამოიყვანა. ბავშვს ფეხები ფაქტიურად ატროფირებული ჰქონდა, ხელები მოგრეხილი, რომლის გახსნასაც დიდი წვალება დასჭირდა. მას ხელში არაფრის დაჭერა შეეძლო, ლაპარაკით კი რაღაცას ლუღლუღებდა, რასაც დედაც ძლივს ხვდებოდა.

გადაწყვიტეს მკურნალობა კოსმონავტის კომბინეზონით დაეწყოთ. რამდენიმე ხანში ვიაჩესლავმა შეძლო ორივე ფეხზე დადგომა. მალე კი პირველი ნაბიჯები გადადგა. ამის შემდეგ მან ენაც ამოიდგა და ერთ დილას მასთან შესულ ექიმს დაელაპარაკა.

კოსტიუმი, რომელიც ავადმყოფს ჩააცვეს, დამზადებული იყო კოსმონავტთა უწონობის მდგომარეობაში ყოფნისათვის, როცა მათ დიდი პრობლემები ექმნებათ. თუკი კოსტიუმი კოსმოსში უზრუნველყოფს სხეულის სწორ მდგომარეობას, რატომ არ უნდა შეასრულოს მან იგივე ფუნქცია დედამიწაზე? — იფიქრეს და დაიწყეს სპეცტანსაცმლის კლინიკური გამოცდა მოსკოვის მე-18 საავადმყოფოში. პროფესორმა ქსენია სემიონოვამ კოსტიუმ „პინგვინის" დახმარებით სწორედ ცერებრალური დამბლის მკურნალობა დაიწყო, აიღო კოსმონავტ ელისევის კომბინეზონი და ჩააცვა 17 წლის პაციენტს, რომელიც ყავარჯნებით ძლივს დადიოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ მან თავისუფლად გაიარა.

ათასამდე ავადმყოფმა იმკურნალა ამ საავადმყოფოში, ძირითადად კი ბავშვებმა, რომელთათვისაც შეიმუშავეს სპეციალური საბავშვო კომბინეზონი „ადელი".

ამ კვლევის საფუძველზე შეიქმნა მოძრაობის აღდგენის ცენტრი, იქ მოხვედრა ჯერჯერობით ძნელი არაა.

პროფესორმა არნოლდ ბარერმა და მეთოდისტმა გალინა ილიჩევამ შტატებში თავიანთი მკურნალობის მეთოდით გააოცეს იქაური სპეციალისტები და მათ ასეთივე ცენტრის გახსნა მოინდომეს.

სტატისტიკის მიხედვით, სამკურნალო კოსტიუმებმა განკურნა ინსულტგადატანილთა 82 პროცენტი, 50 პროცენტმა დაიწყო [illegible]ეთ ლაპარაკი, სიარული და თავის მოვლა, ყოველი მესამე კი სამუშაოდ გავიდა.

**ელიზავეტა ლეონტიევა**

# ვარსკვლავს — ქართველი მხატვრის სახელი



ზურაბ წერეთელი

ბოლო აღიარება ასეთია: დიდი დათვის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს მისი სახელი მიეკუთვნა — უანგარო შემოქმედის, ცნობილი მონუმენტალისტის და ფერმწერის, მოსკოვის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის და მეცენატის, პატრიოტის და ინტერნაციონალისტის, ოჯახის მოსიყვარულის და მეგობრების თანამდგომის ზურაბ წერეთლის სახელი.

იყო დრო, როცა თბილისში ცხოვრობდა და ქმნიდა, ქართველ ახალგაზრდობას იკრებდა და ზრდიდა.

მერე შინაგანმა ხმამ უფრო ფართო ასპარეზისკენ მოუწოდა, მსოფლიო შემოიარა, 11 ქვეყანაში იმოღვაწა.

„მე არც ქარხნები მაქვს და არც ხაზები. მაქვს ქურები, სადაც მინანქარს ვამზადებ. აღვადგინე მისი დამზადების ტექნოლოგია. ამ მინანქარს არ ეშინია არც წვიმის, არც თოვლის, არც დროსი. მსგავსი არ ჰქონიათ არც ბიზანტიაში, არც კავკასიაში, არც — რუსეთში.

ასეთი ჩამომსხმელი ქურები ყველა ნორმალურ სკულპტორს აქვს. დიდ მონუმენტურ ქმნილებებს კი სახელმწიფო საწარმოებში ვასხამ“, — უთხრა ჟურნალ „ექსპერტის“ კორესპონდენტს ანდრეი ჩერნაკოვს ზურაბ წერეთელმა.

ხელოვნება ხალხისთვის და არა პირადი გამორჩენისათვის, — ასეთია მისი დევიზი.

პეტრე დიდის ქანდაკებაში არაფერი აუღია — გამოყოფილი თანხა ძლივს ეყო ხარჯებს, ქრისტეს ეკლესია უსასყიდლოდ გააფორმა. არ აუღია ჰონორარი მონუმენტში „ბოროტსა სძლია კეთილმა“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიდგა.

ფული მისთვის არაფერს ნიშნავს.

რასაც იღებს, მაშინვე გასცემს.

ჰონორარებს ესკიზების, მოდელებისა და საავტორო ხელმძღვანელობისათვის უხდიან. ამ თანხის ნაწილი მთხოვნელებს ხმარდება. არ ახსოვს, ვინმეს დახმარება ეთხოვოს და უარი ეთქვას. არიგებს, სანამ მისი შემოსავალი გასწვდება. მშვიდდება, როცა ფული უთავდება.

მეცენატობაში ტოლი არ ჰყავს.

ბიზნესი არ ეხერხება. ერთხელ იტალიელებმა შემოსთავაზეს და წააგო. იცის მხოლოდ თავისი საქმე — მხატვრობა, ქანდაკება.

მისი სუპერპროექტი ის დოკუმენტებია, 14 წელი რომ ქმნიდა და 10 კილოგრამს იწონის. მათში მოცემულია მოსკოვის ბავშვთა სასწაულების პარკი, დისნეი-ლენდზე უკეთესი, დიზაინით, არქიტექტურით, ორნამენტებით და შინაარსით ბევრად უფრო გამორჩეული, სამჯერ უფრო დიდი, 375 ჰექტარზე გადაჭიმული.

მოსკოვი მსოფლიო ქალაქია, სადაც ყოველდღიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი ჩადის, ზურაბ წერეთელმა ეს საჩუქარი მსოფლიოს ბავშვებს უძღვნა. ბავშვები იმოგზაურებენ თოვლიან ციმბირში, ცხელ ჯუნგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, შეხვდებიან საყვარელ მწერალთა პერსონაჟებს.

ზურაბ წერეთლის პროექტი შვიდ წელიწადში განხორციელდება. ვარაუდობენ, რომ მისი მსგავსი ჯერ არსად შექმნილა.

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ხალხთა ქვეყანაა. საგულისხმოა, რომ მისი აღმომჩენის, ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლის დადგმა ქართველმა მხატვარმა იკისრა. მას „ახალი ადამიანის დაბადება“ ჰქვია და 40 მეტრით მაღალი იქნება თავისუფლების ქანდაკებაზე.

ძეგლის მოდელი ზურაბ წერეთელმა საზეიმოდ გადასცა შტატების პრეზიდენტს.

ქანდაკება ქალაქ ბალტიმორში დაიდგმება, სადაც გაშენდება მთელი კომპლექსი კოლუმბის მუზეუმით, ბროლის ინტერიერით, აკვარეუმით, კინოთეატრით, საგამოფენო დარბაზით, რესტორნებით. როგორც კი პროექტი დამტკიცდება, შემოქმედებითი მუშაობაც გაიშლება.

... სულის სიღრმეში რაც აწუხებს, რაზეც ფიქრობს, მხატვარს ფერწერაში გადააქვს. ამიტომაც არ ემეტება თავისი ტილოები გასაყიდად და ცნობილ პიროვნებებსაც უარს ეუბნება. ამას წინათ ამერიკაში მხოლოდ ორი სურათი გაყიდა და აღებული ფული თბილისის სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის გადმორიცხა, ხოლო იმ 100 ნამუშევრიდან კი, რომელიც ადრე გამოფინა შტატებში, ერთიც ვერ გაიმეტა ჯიმი კარტერის ცოლისათვის და ყველა უკლებლივ უკან ჩამოიტანა.

დროდადრო,, როცა მონატრება გაუსაძლისი ხდება, თბილისში ჩამოდის. მალე საყვარელ ქალაქს თავისი სურათების პერსონალური გამოფენით გაახარებს.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერი ბარნაბიშვილი



### დედაჩემი

ეს სახაფლაო თუ დაიწყებს ფოსფორულ ელვას,
იცოდეთ, რომ აქ დედაჩემის აინთო ძვლები,
ენა ხელახლა ამოიდგა განვლილმა წლებმა
და შუქად იქცა მიწისქვეშა მდუმარე წლები,
მისი საოცრად მშვენიერი თვალების ციმციმს.
და უჩვეულო სილამაზე — სიმკვირცხლის ძალას
უნდა აენთო უსათუოდ ბურთქერის ქვები
და მე ვექციე თავმოდრეკილ ღვთისმოსავ ქალად.
რაკი გამოჩნდა, ისეთ ნათელს მოაფრქვევს სივრცეს,
ალავსებს ყველას იმედის და სიწრფელის სხივით,
დიდს და პატარას, ვინც შეხვდება, მხნეობას მისცემს,
იის ჟრიამულს მოგიტანთ და იების ყივილს.

* * *

ამ ეზო-ყურეს მერამდენე მოუვლე ნეტავ,
ნეტავ ვით განვლეს ხზვებმა დროჟამი,
როგორ ყვაოდა იმათ დროს ია,
ან რას მღეროდა ველის შროშანი?
რომელს სჯეროდა, რომ მათ გარეშე
ვერ გადივლიდა მზე ამ ტყე-ფერდობს,
ან ხანში შესულ ბრძენ ქალს — სალომეს
ვით უყვაოდა სამოსი ერთდროს.
კიდევ კარგი, რომ ზედისგულივით
მოჩანან სოფლები, მე რომ გამოვვლე,
ხან წმინდანივით მიმოდის ნინო,
ხან მუხლის ძირას მიზის სალომე.

* * *

იქნებ მიტომ, რომ შემომეშველოს,
სცადოს თავისი ულევი ძალა,
ივნისი წელს მე შენითა მხვდება,
და ოქროსფერი ავსებს მთელ ქალაქს.
რომ წამლად მექცეს სალამოს წირვა,
რომ მომიბრუნდეს რითიმე გული,
ივნისი წელს სხვა ფერებით ბრწყინავს,
სხვა სამოსით და ყვავილთა წნულით.
თავის უძლეველ კანონებს მამცნობს.
ნაირსახეობს მშვენება დროთა,
რა ძალით უნდა ივნისს, რომ გავძლო,
ამ ველებზე და მზის შუქზე მოჩანს.
ალბათ უნდა, რომ შემომეშველოს,
სცადოს თავისი ულევი ძალა,
ივნისი წელს მე შენითა მხვდება
და ოქროსფერი ავსებს მთელ ქალაქს.

### ქართული ენა

ყოველდღე რაღაც გრძნეულს იძენ,
შენ გდევნეს, მაგრამ მაინც გასძელ.
დღეს შენ ხარ მურმან ლებანიძე
დღეს შენ ხარ ანა კალანდაძე.
გალმერთებ შენ და დღეებს ვითვლი,
როდის დაგმარცვლავს შვილი ჩემი,
შენა ხარ რიტმი, შენა ხარ ფიქრი,
სულ მისხალ-მისხალ დანარჩევი.
შენ გაქვს ცისფერი ბურუსის და
ულამაზესი ლექსის ფერი,
გალაკტიონი ღმერთად იქცა,
ისე იმღერა შენით მერი.
ყოველდღე რაღაც გრძნეულს იძენ,
დგევნეს და მაინც ჩვენად რჩები,
შენ ხარ გიორგი ლეონიძე,
ცურტაველის და შოთას ძვლები.
ყოველდღე რაღაც გრძნეულს იძენ.

### საძმანაანო

საძმანაანოს როცა ვახსენებ,
მინდა, რომ ყველას გზაც მივასწავლო,
რათა შეუდგნენ ლამაზ გზასერებს
და ყველაფერი ჩემებრ დასცადონ.
აქ მზამზარეულ ბედნიერებას
ვაგულებ გზებს და ნაზარლის რკალებს,
აქ რაც ითქმება ან იმღერება.
მუდმივ აჩნდება ლიმსა და თვალებს,
ვერ მოშორდები ძველებურ ურემს
თივის სურნელი აავსებს უბანს,
რაღაც ისეთი მოესმით ყურებს,
მარტო ახლა რომ შეიგრძნო ყურმა.
ერთმანეთისთვის გადადებული
ყველას აქვს რაღაც საჩუქრის მსგავსი,
დადის ზაზალე — ქალი ქებული
სავსე კალათით და სავსე თასით,
ზილს საგანგებოდ ამწიფებს ყველა,
თუთაზე გიწვევს დარო და ნინო,
აქ ბროწეულსაც მოიწევ იმდენს,
თავსაც და სხვასაც რომ გააწვდინო,
შორი გზისაკენ უჭირავთ თვალი,
ვინ ჩამოივლის, რომ შეამჩნიონ,
კოკაში ცივი ღელვწყალის წყალი
ყიილა მგზავრს უნდათ რომ შეაძლიონ,
ამხედრებული მაღალ ცხენებზე
მოდიან ზოგჯერ გიგა და ვასო.
მოაქვთ ივრიდან კიტრი და ნესვი,
ცოტა ჩვენაო და ცოტა — სხვასო,
აქ მზამზარეულ ბედნიერებას
ყველა შეიგრძნობს და მოდის შველა —
საძმაანანოს როცა ვახსენებ,
გზაც მივასწავლო, მინდა მე ყველას.

### მარო მაყაშვილი

დიდი ბებიის შვილიშვილი
დიდი დედ-მამის შვილი,
უბრწყინვალესი ქალიშვილი
— მარო მაყაშვილზე ვტირი.
რა დიდი ვინმე დაგვიკარგავს,
მამულის რამხელა მზირი,
მუდმივად გვეყოფა დროის საგზლად
იმისი ფესვი და ძირი.
ეკატერინე გაბაშვილი,
დიდი მწერალი და ქალი,
პოეტი კოტე მაყაშვილი
ამ ბავშვში ვინ აღარ არის.
რამხელა საწერი დარჩენია,
რამხელა საქმენი ხვალის,
კოჯორ-ტაბახმელას მეომარი,
თბილისის შუქი და თვალი.
ყველას რომ მალამოდ დასდებოდა,
დამცველად წასულა ძალით,
ყველაფერს თვითონ რომ დასწრებოდა,
დაეცვა ქალი და რძალი.
რვეული მოლოდინით იცრიცება,
ფურცლები აშველებენ ენას,
გზა მტრისგან აღარ იწმინდება,
მთავრდება გოგონას ლხენა.
რამხელა ვინმე იმზირება,
და რას ევედრება ზენას,
რა დიდებულად იტირება,
ნაკლისობს ქართული ენა.
ასე მიჩქმალული დიდი ხანი
ცხრა აპრილს აჰყვა და მოსდევს,
ხელახლა დაცემული დიდი ლამით
სისხლს თვითონ იხევ სხვას მოსწმენდს.
რა გკადრო, მარო მაყაშვილო,
მწერალს და ამხელა ქალწულს,
დიდ საგვარეულოს ქალიშვილო,
გულიდან რა მომხსნის მარწუხს.

* * *

ხან ისე მქრქალად მტკიოდა მკერდი
მიკარება არ ძალმიძდა საბნის,
სული მქრებოდათ ჟახმინებს გვერდით,
მკრთალი ღიმილით მყვაოდა ვარდი.
რა შეუძლებელს ელოდა ჩემგნით
რას შეიძლება ვეხხენი მაშინ?
სისუსტე იგი გრძელდება დღემდე
და იშვიათად გავდივარ ხალხში,
ხანდახან თმის ჭაღლს შუბლიდან ვიწევ,
ხელისგულს ვიდებ, რომ მომცეს შვება,
სადამდე, ნეტავ, ამხელა სიცხე,
ჩემს გვერდით ზოგი გვირილაც ჰქნება.

# მანანადან — „ოქროს



კინოფილმიდან „მანანა“

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა ნანული სარაჯიშვილმა ფილმ „გარიგებაში“ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოქროს არწივი“ დაიმსახურა. ახლახან ანაპის ფესტივალზე გოდერძი ჩოხელის ფილმმა „სამოთხის გვრიტები“, რომელშიც ნანული მხატვრის როლს თამაშობს, „გრანპრი“ მიიღო.**



ტურფა—კინოფილმიდან „ვერისუბნის მელოდიები“

**— ქ-ნო ნანული, თუ უტაქტობაში არ ჩამომართმევთ, რამდენი წლის ბრძანდებით?**

— მარტო იმას გეტყვით, ორმოცდაათიან წლებში დავიბადე, მაგრამ სულ მგონია, ბავშვი ვარ, ასაკს არ ვგრძნობ. ყოფილ ბელინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდი, სადაც ვაკის რჩეული ბიჭების ბირჟა იყო. აქ იკრიბებოდნენ: ასტამბურ აჩბა, უმცროსი ჯანო ბაგრატიონი, ტოგრიკ ტოგონიძე, ნიაზ დიასამიძე. როგორც კი გამოვჩნდებოდი, მიმღეროდნენ, მეფერებოდნენ, როგორც პატარა ბავშვს მანებივრებდნენ. სკოლას ვამთავრებ უკვე და ერთმანეთს ეკითხებიან, რაღა დროს საბავშვო სიმღერებია, ეს გოგო მგონი ქალდებაო და...

ნიაზ დიასამიძე ჩემი კარის მეზობელი იყო, ბევრი კარგი სიმღერა მან შემასწავლა, ბევრი რამ ჩემი უბნელებისაგანაც შევითვისე.

**— „მანანას“ შემდეგ მსახიობობის გარდა სხვა პროფესიაზე ალბათ არც იოცნებებდით.**

— მართალია, დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ჩემი თანაკურსელები იყვნენ: გია ფერაძე, ამირან ბუაძე... ნეტავ შეიძლებოდეს ის დრო დაბრუნდებოდეს...

**— თქვენი არ იყოს, ჩვენც „მანანათი“ დავიწყოთ. ცოტა რამ ამ ფილმზე მუშაობიდან უთუოდ გემახსოვრებათ.**

— ასეთი ბედნიერება, რაც მე მერგო წილად ამ ფილმით, ათასში ერთხელ თუ ეწვევა ადამიანს. ერთი უღიმღამო, უფერული, კუთხეში მიგდებული ბავშვი ვიყავი, ჩემი და ლია, ლამაზი, აღიარებული, „საბუდარელ ჭაბუკში“ და „ჩვენს ეზოში“ უკვე გადაღებული... ერთხელაც რეკავს ბატონო რეზო ჩხეიძე, ნანული წამოიყვანეთ და კინოსტუდიაში მოდითო. იფიქრეს ეშლებაო, ლიას დაავლეს ხელი და წავიდნენ. ლია ასაკის გამო დაიწუნეს. აბა ჩემზე ვინ ფიქრობდა? მეორე დღეს ნათლიამ ისე, სხვათაშორის წამიყვანა და რას ვხედავ, ულამაზესი ბავშვები შეკრებილან. შევცბი, დავიმორცხვე, არც ლექსი ვთქვი, არც ვიმღერე, არც ვიცეკვე. ამ ბავშვებში აბა მე რა გამოსაჩენი ვარ-მეთქი. მეორე დღეს არ მომეშვნენ და ისევ წავედით... ბავშვური ჟინი მომერია. შევხტი მაგიდაზე, ლექსიც ვთქვი და მთელი ჩემი შესაძლებლობებიც გამოვავლინე. აი, ნამდვილი მანანაო, თქვეს. იმ ღამეს სიხარულისაგან მაღალი სიცხე მომცა.

წარმოიდგინეთ, ათი წლის ბავშვისათვის რას ნიშნავს სესილია თაყაიშვილთან, ალექსანდრე ჟორჟოლიანთან, იაშა ტრიპოლსკისთან, მედეა ჩახავასთან, იპოლიტე ხვიჩიასთან თამაში. იმთავითვე მათ მეგობრად ვთვლიდი თავს. იაშაზე მამაჩემიც კი ეჭვიანობდა, ისე განითავისა როლი. მეგონა ისინი ჩემი ნამდვილი ბებია, ბაბუა და მამა იყვნენ. თითისტოლა ბავშვი მათ თავიანთ თანასწორ პარტნიორად მაქციეს.

**სარაჯიშვილების რომელ შტოს ეკუთვნით?**

— ვანო სარაჯიშვილი, ბაბუაჩემის ალალი ძმა, უშვილო იყო. ჩვენ მის შვილიშვილებად გვთვლიდნენ. მამაჩემს პეტრე ერქვა, მეღვინე იყო. შესანიშნავად ცეკვავდა, მღეროდა, უკრავდა და აღიარებული თამადა იყო. დედა — აფაქიძის ქალია.

**— თუ არ ვცდები, შემდეგი კინოროლი „ვერის უბნის მელოდიებში“ მიიღეთ.**

— დიახ, ჩემი უსაყვარლესი პატარა როლია კინოში. გიორგი შენგელაიას ვუმადლი ასეთ ნახტომს. ბავშვიდან პირდაპირ ქალად, თანაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალად მაქცია ეკრანზე.

**—ახლა თეატრალური როლებიც გავიხსენოთ, მაგალითად „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“, — ექსტრავაგანტურ ქალს თამაშობთ.**

— ასევე ჩემი საყვარელი სპექტაკლია. აქ ჩვენ რომ ორო იატარით. ნუ იტყვით. ბატონი რობერტ სტურუა გახლავთ რეჟისორი. რაღაც ყოველთვის ეცოტავება, არ მოსწონს, არ აკმაყოფილებს ჩვენი როლი, თან დრამატურგსაც ხომ უნდა გაუწიოს ანგარიში; და გარისკა...

# არწივამდე“




მარო — კინოფილმიდან „გარიგება“

ასეთი პასაჟი დაამატა: მანანა გამცემლიძე — ჩემი პარტნიორი ენაბლუდ აქცია, მე — მის თარჯიმნად და უკვე საინტერესო გამოვიდა. დრამატურგმა რეზო ჩხაიძემ ძლივს იცნო თავისი პიესა, მოეწონა, სიცილისაგან თავს ვერ იკავებდა...

**— „გარიგებაში“ მშვენივრად ხართ მორგებული კახურ კოლორიტს.**

— ალბათ კახურმა გენმა იყივლა ჩემში. ერთ საღამოს ზაზა კოლელიშვილი მირეკავს სახლში: ხვალ თელავში მივდივართ, ჩაალაგე ჩემოდანი და წამოდიო. შევცბი, ცოლი ხომ გყავს? — ხუმრობითვე ვეკითხები, სად მიგყავარ?! გადაღებაზე, მამშვიდებს ზაზა, მაგრამ მე ვმშვიდდები, რო? ფრთხილი, მშიშარა და მორიდებული ვარ, როცა როლს მთავაზობენ. რას იტყვის მაყურებელი, როგორი გამომივა?

ერთხელ „დეზერტირების“ ბაზარში ყველს ვყიდულობთ. აქ არიან „ჩემი საყვარელი ქმარი“ გოგა პიპინაშვილი და მარინა სალარაძე — ჩემი კარგი მეგობრები. მთელი ბაზარი ლამის შემოგვხვევია — მარო, ეს რა ჰქენი, ქმარი როგორ გაასხვისე? ჩემი ბედიც ეგ ყოფილა-მეთქი, — ვპასუხობ. გვერდით მიდგას მარინა, — მერე, ქალო, ქმრის წაძრთმევს ასე მშვიდად როგორ ელაპარაკები? — არ ცხრებოდნენ გლეხები. ხუმრობა იქეთ იყოს და ამ ფილმმა, მართლაც, აღიარება მომიტანა, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „ოქროს არწივი“ მომენიჭა.

**— ამბობენ, როცა მსახიობი მთავარ რეჟისორთან კარგ განწყობილებაშია, მისი ბედის ჩარხი წაღმა ტრიალებსო, მართლა ასეა?**

— ცუდად არავისთან ვარ, მითუმეტეს, რეჟისორებთან. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, არ დავძაბო სიტუაცია. თუმცა, ეს როდი წყვეტს საკითხს: თუ რეჟისორს როგორც მსახიობი არ მოსწონხარ, ფუჭია ყველაფერი. ბედნიერი იყო ჩემი შეხვედრა გოდერძი ჩოხელთან, მის ფილმში „სამოთხის ჯვრიტები“, მხატვრის როლს ვასრულებ. ფილმმა ანაპის ფესტივალზე გრანპრი მიიღო.

**— კიდევ რომელ ფილმებში ხართ გადაღებული და რა სპექტაკლებში თამაშობთ?**

დღევანდელი რეპერტუარიდან ვითამაშე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემდეგ სპექტაკლებში: „კავკასიური ცარცის წრე“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „დედა ენა — „იაკობის სახარება“. ქ-ნმა ქეთი დოლიძემ პოლონეთში გადაიღო ფილმი „და სახლში ჰპოვებს სიხარულს“, ბეატა ტიშკევიჩია ჩემი პარტნიორი. ვმონაწილეობ ფილმებში — „ატრაქციონი“, „ერთი ნახვით შეყვარება“, „უჩინმაჩინის ქუდი“...

კახა მელითაური და თინა მენაბდე ახალ ფილმს იღებენ. იქაც ვარ მიწვეული. ჯერ არ ვიცი, რა როლს შემომთავაზებენ ან რა ერქმევა ფილმს.

**— გატაცებები გქონიათ?**

— აბა უმაგისოდ როგორ შეიძლება ცხოვრება? გათხოვილი არასოდეს ვყოფილვარ. როცა ჩემი და ლია სულს ლევდა, პირობა მივეცი, მის შვილებს მზრუნველობას არ მოვაკლებდი, დედობას გავუწევდი. უფროსი კახა — 29 წლისაა, ცოლ-შვილიანი, უმცროსი ირაკლი ჩემი ნამდვილი შვილია, ნათქვამია დეიდას დედის სული უდისო, მას არასოდეს ვუღალატებ. ბედის ამბავია, ალბათ, ასე უნდოდა განგებას. მთელი ოჯახი ჭეშმარიტი მორწმუნეები ვართ. კომუნისტების დროს რამდენჯერ შეგვაწუხეს: ეკლესიაში რატომ დადიხართო.

**— ბევრი მეგობარი გყავთ?**

— ბედნიერი ვარ. მყავს არაჩვეულებრივი ბავშვობის მეგობრები, მერე შეძენილები, კოლეგები. ყველა ძალიან მიყვარს. სიძულვილი არ შემიძლია, ვერცერთს ვერ გამოვყოფ, არავინ გამომრჩეს.

**— ფილარმონიის სცენაზეც მშვენივრად გამოიყურებოდით?**

— ალბათ იმ გადაცემაზე მეკითხებით — „კინომსახიობები სცენაზე“. მე და ამირან ბუაძე ვმღეროდით, რატომღაც ეს დებიუტი ტელევიზიამ საახალწლოდ რამდენჯერმე აჩვენა.

**— მსახიობობა იყო თქვენი მოწოდება თუ რაიმე შემთხვევამ განაპირობა?**

— ჩემი მოწოდება პედაგოგობა იყო. მიყვარს ბავშვები, მინდოდა დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვყოფილიყავი, მაგრამ ქალბატონმა სესილია თაყაიშვილმა შთამაგონა, მსახიობი გავმხდარიყავი, არ ვნანობ, კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით.

... რუსთაველის თეატრში, ასე ვთქვათ, ცეკვით მოვედი. ბატონმა რობერტ სტურუამ „ხანუმა“ დადგა, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი „ბაღდადურს“ ცეკვავდა ამ სპექტაკლში, როცა მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა, მე მეორე კურსის სტუდენტი ამ როლში მიმიყვანეს საცეკვაოდ. ჩემი პირველი სერიოზული როლი „ყვარყვარე თუთაბერში“ იყო. მე და ჯემალ ღაღანიძე წამყვანები ვიყავით.

**— რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?**

— ერთგულებას, იუმორის გრძნობას. იუმორს ხომ თავდაცვის უნარი აქვს.

**— სამზარეულო თუ გიყვართ, როგორი დიასახლისი ხართ?**

— ეს სფერო დედაჩემს აკისრია. არა მცალია, ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციც. მანქანა რომ არ მქონდეს, ალბათ გამიჭირდებოდა ამდენი საქმეების მოგვარება.

**— თქვენი ჰობი, ჰოროსკოპი?**

— თხის რქა. მოგზაურობა. რუსთაველის თეატრს ვუმადლი, ლამის მთელი მსოფლიო მოვიარე „კავკასიური ცარცის წრითა“ და „რიჩარდის“ წყალობით.

**— ბედნიერი ხართ?**

— ბედნიერება პირობითი ცნებაა. სრული ბედნიერება არ არსებობს ამ ქვეყნად. გააჩნია, ვინ რაში ხედავს მას. ღმერთს მადლობას ვწირავ ყველაფრისათვის. ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი იმ ეპოქაში, რომელშიც ბატონ რობერტ სტურუას მოუწია მოღვაწეობა.

საერთოდ, ოპტიმისტი ვარ და მომავლისაგან მხოლოდ კარგს მოველი.

ესაუბრა **ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არდავიწყება

## „უკვე არ ვიცი: ვის ვახსოვარ, ვის დავავიწყდი“



ა. სულაკაური



მარცხნიდან — რ. ჩაკვეტაძე, ე. ყიფიანი, გ. აგია-შვილი, გ. აბაშიძე, ნ. თარგამაძე, მ. ხიზანიშვილი, ა. სულაკაური

ნეტავ სიზმარი ყოფილიყო ის საშინელი სინამდვილე, გვიან საღამოს, ტელეფონით საუბრისას მეგობარმა სინანულით რომ მითხრა: — როგორ მატკინა გული არჩილის ამბავმაო. — ვინ არჩილის-მეთქი? — რა, შენ არ იცი, თქვენი არჩილ სულაკაური რომ აღარ არისო... — ვაი, ვაი, რა მითხარი, ნან.. როგორ. როდის?..

შეწუხდა, — არ მეგონა თუ არ იცოდი, თორემ ამ ღამით მაინც არ გეტყოდიო.

ნეტავ სიზმარი ყოფილიყო, ცუდი სიზმარი... თვალწინ დამიდგა ამაყი, ერთი შეხედვით თითქოს მკაცრი, მაგრამ საოცრად კეთილი, დინჯი, სიტყვაძვირი, სიტყვამართალი, სამართლიანი და მოყვასი — ჩვენი არჩილი; მისი სტრიქონებიც მომესმა თითქოს: „წყნარად! სიჩუმე ერთადერთი არის მუსიკა, განთიადისას რომ მომიხმობს ოქროს ბუკივით...“

იყო ღამე და სიწყნარე, მაგრამ... „სიჩუმე — მუსიკა“ რეკვიემად მესმოდა, ნამდვილ რეკვიემად.

ფიქრს აღევნებულ ფიქრმა წარსულში დამაბრუნა; იმ წარსულში, ოცდახუთი წელი ჟურნალ „მნათობში“ რომ გავლე ფრიად საამაყო ადამიანების გვერდით და, რომელთა უმრავლესობა დღეს აღარ არის.

პირველი დიდი ტკივილი „მნათობელებს“ ბატონ გიორგი შატბერაშვილმა დაგვიტოვა. მომდევნო სიმი გულისა ედიშერ ყიფიანმა ჩაგვწყვიტა, მერე ნოდარ რუხაძემ გაგვისამა ტკივილი.

ერთ ზამთარს ბატონ შალვა ალხაზიშვილს გრიპი გაუძალიანდა, რომ მოიკეთა, ცოტა მოგვიანებით მოდიოდა ხოლმე რედაქციაში. პირველად ჩვენს ოთახში შემოდიოდა (რომელსაც მან „ქენატდელი“ დაარქვა), — „გოგოებო“, როგორ ხართო — მოგვიკითხავდა (მაინც ასე მოგვიხსენიებდნენ კარგა ხნის ქალებს) და დასძენდა: — ხომ ხედავთ, მეც კარგად ვარო, მაგრამ საუბრისას რამე სატკივარს მაინც შემოგვჩივლებდა. ხანდაზმული იყო და ვატყობდით, სიკვდილის შიში შეპარვოდა. ვწუხდით. ძალიან ებრალებოდა არჩილსაც და ერთხელ, გასამხნევებლად ასე უთხრა: „ნუ გეშინიათ. შალვა ილიჩ, კერკეტი კაკალივით ხართ, არაფერი მოგივათო“, მაგრამ, კერკეტი კაკალიც გატყდა; მერე ბატონი ნიკა აგიაშვილი წაბრძანდა საუფლოს. მუდამ ღიმილიანი, ენამჭევრი და ენამახვილი ბატონი ნიკა.

უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ოტია პაჭკორიას სიკვდილი.

შესვენებისას სასაუზმოდ დავსხედით, ოტია არ დამჯდარა. ფეხად წაიხემსა, კარგ ხასიათზე იყო. ხუმრობდა, ვიცინოდით. არჩილთან დაიხარა, ყურში რაღაც უთხრა და გულიანად გააცინა (ჩვენ მოგვიბოდიშა), მერე მაგიდიდან თხილი აიღო, მეჩქარება, გავიქეციო და სიცილსიცილით გავიდა ოთახიდან.

დღის ბოლოს დაგვირეკეს, გარდაიცვალაო. ცოტა ხნის გადმოსული იყო „ცისკრიდან“ ჩვენთან, ტკივილი კი დიდი დაგვიტოვა, რაც ყველაზე მეტად არჩილს დაეტყო.

— ოტიას ოთახისაკენ გახედვა მიჭირსო, — უთქვამს ქალბატონ თამარისათვის. ჩვენც ვამჩნევდით, დიდხანს დადიოდა მოწყენილი და ჩაფიქრებული.

* * *

ერთხელ რუსუდანმა „გამოგვიცხადა“: ხვალ ლეჩხუმურ ღვინოს და ლორს მოვიტანო. — მაშინ მე მჭადს და ლობიოსო, — უთხრა მერიმ. ლალი კომახიძემ ხაჭაპური ითავა. მეორე დღეს, ყველამ რაღაც შევმატეთ საუზმისათვის გაშლილ სუფრას და ისეთი პურ-მარილი გამოგვივიდა, რომ იტყვიან: ჩიტის რძე არ აკლდაო. როგორც წესი, მიცვალებულთა მოსაგონარი სასმისები შეივსო. ყველა მოვიგონეთ, არჩილმა რედაქციაში ედიშერის ბო-

ლო მოსვლა გაიხსენა: — თითქოს კარგად იყო, მეგონა, გამოკეთდა, ორშაბათიდან გამოვალო მითხრა და... წუთით დუმილი დაგვეუფლა. ეს ჭიქა ქალებმაც შევსვათო, — გვთხოვა გოგუცამ.

ენაკვიმატი და მუდამ იუმორით დამუხტული ბესიკ ხარანაული უცებ ციალას მიუბრუნდა და მოგონილი სერიოზულობით ცოტა ხმამაღლა უთხრა: — რა დაგემართათ, „გოგოებო“! რა მაგრად ზიხართ, გახსენით რა, „სეზონი“, ახლა თქვენ წადით! — ციალამ, თითქოს ენის წვერზე ელაგა სიტყვები, არც აცივა, არც აცხელა და მიახალა — ბესიკა სასიკვდილე, ჩვენ რო მოვკვდეთ, შენ ვიდა გიტირებსო. რა თქმა უნდა, ვიცინეთ, ჯანსალმა ხუმრობამ სევდიანი განწყობილება შეცვალა. არჩილმა გახედა ციალას და თავისებური სიდინჯით უთხრა: „ყოჩაღ, ციალა, კარგად გამოგივიდა“.

დიდი ხანი გავიდა ბესიკის ხუმრობიდან და... ქალბატონმა თამარ ანდღულაძემ „გახსნა სეზონი“. რატომღაც მგონია, უკანასკნელ წამს მოაგონდებოდა ბესიკის ნათქვამი და დალოცავდა თავის „გოგოებს“ ჩვენი ლამაზი, ქალბატონი თამარი.

სულ მალე, ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ დაგვამწუხრა მისი ყოფილი თანამშრომლები. არ დამავიწყდება მზია შატბერაშვილის სევდიან თვალებში ჩამდგარი ცრემლი, რომელიც მხოლოდ „მნათობის“ ყოფილ რედაქტორს კი არა, საყვარელი მამის, ძმასავით ახლობელ ადამიანს ეკუთვნოდა.

* * *

სამოციან წლებში „მნათობში“ ბატონ გრიგოლ აბაშიძის რედაქტორობისას, არჩილი პროზა-პოეზიის განყოფილებას განაგებდა.

მეგობარმა თავისი თარგმანი: ბუნინის „კავკასია“ გამატანა არჩილთან და მთხოვა: ვიდრე არ წაიკითხავს, ნუ ეტყვი ვისიაო. ასეც მოვიქეცი. მივუტანე და ვთხოვე: — არჩილ, თუ ძმა ხარ, როცა მოიცლი, მაშინ წაიკითხე და ვისია, მერე გეტყვი-მეთქი. — რატომო, ცოტა გაკვირვებულმა მკითხა, მაგრამ იქვე დასძინა: — თუმცა, რა მნიშვნელობა აქვსო. მეორე დღეს მეუბნება: — ის მოთხრობა უახლოეს ნომრისთვის გავამზადე და მთარგმნელის გვარს ხომ არ მეტყოდიო. დავიბენი, ნათქვამი ხუმრობას არ ჰგავდა, მაგრამ არც სერიოზული მეჩვენა და ვკითხე: — როგორ, უკვე წაიკითხე? — გუშინვე. — მოგეწონა? — ძალიან. — მოკლედ მითხრა, მაგრამ ეს ერთი სიტყვა ისეთი მახვილით იყო წარმოთქმული, რომ ბევრ სათქმელს სჯობდა. მით უფრო, იქვე მოაყოლა: — ეტყობა, კარგი ქართული რომ იცისო, — რაკი ასეა. ახლა გეტყვი: — მთარგმნელი ნანული ცაგარეიშვილია, ედუარდ შევარდნაძის მეუღლე.

— მართლა? მით უკეთესი. — რა არის უკეთესი-მეთქი? — თავმდაბალი ყოფილაო.

* * *

გუშინდელ დღესავით მახსოვს. ოთახიდან გამოვედი და ჩვენი რედაქციის გრძელი დერეფნის კედელთან ძირს ჩამომჯდარი ახალგაზრდა შევნიშნე. ორივე ხელი წვივებზე შემოეჭდო და ნიკაპით მუხლებს დაყრდნობოდა. მინდოდა მეკითხა, ცუდად ხომ არ ხართ... და ვის ელოდებით-მეთქი, — ვკითხე. — არჩილ სულაკაურსო.—მისაღებში სკამზე დაბრძანდით, შევთავაზე. შევიდა. მერე, არჩილს რომ ვუთხარი, ასე იყო-მეთქი, გაეღიმა — მიწის მონატრება ექნებოდაო და მითხრა: — ეგ ყმაწვილი გოდერძი ჩოხელია... კარგად აზროვნებს, გამოჩნდება.

ამ ცოტა ხნის წინ, დღეს მართლაც გამოჩენილმა გოდერძი ჩოხელმა სინანულით და სიყვარულით მითხრა: პირველად ცივი მეჩვენა ბატონი არჩილი, მაგრამ მერე დიდი სითბო მანახაო.



● მარცხნიდან — შ. ალხაზიშვილი, მ. ხიზანიშვილი, გ. აბაშიძე, ნ. თარგამაძე, ნ. აგიაშვილი

არჩილმა რედაქციაში თავისი ოთხი წლის შვილიშვილი მოიყვანა. ზრდილი, ლამაზი ბიჭუნა თავის ასაკთან შედარებით მეტის მცოდნე იყო და ძალიან მოგვხიბლა. ბავშვმა ყველას რაღაც დაუხატა და მე მკითხა: — თქვენ რა დაგიხატოთო. — მანქანა-მეთქი. დამიხატა და საკმაოდ კოხტად გამოყვანილი ასოებით გაფანტულად დააწერა: გიორგი სულაკაური, 1980 წელი, 4 იანვარი. მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: — ამას შევინახავ და დიდი რომ გაიზრდები, მაშინ განახებ-მეთქი.

— დიდი რომ გავიზრდები, ნამდვილ მანქანას გაჩუქებთო.

არჩილმა გაიკვირვა: — მართლა ეგრე გითხრაო? „გოგოები“ დამემოწმნენ. ბაბუას გაუხარდა შვილიშვილის შემართება, თვალები აუციმციმდა, ბავშვს კოკროჭინა თავზე უხმოდ გადაუსვა ხელი და ვითომ ამაყად ჩაილაპარაკა: — უკვე პიროვნებაა.

* * *

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1985, 14/11) არჩილის ლექსებს მთელი გვერდი ჰქონდა დათმობილი. ბოლო უსათაურო ლექსი ასეთი იყო: — „თამაზ ჩხენკელმა ამას წინათ ხუმრობით მითხრა: — დროა, ბებერო, განემზადო ჯოჯოხეთისთვის! ვინ დაადგინა მართლისა და ხუმრობის ზღვრები? მეც ვემზადები, უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, ცეცხლს ვეფიცხები, ვეფერები, ვეპირფერები“.

ვიცოდი, რომ არჩილი და თამაზი თითქმის ტოლები იყვნენ. გამეღიმა და გაზეთის გვერდზე მივაწერე: მართლაც, ვინ დასდო „მართლისა და ხუმრობის ზღვრები?“ თავად „ბებერი“ თამაზ ჩხენკელი, რას გელიზღება?.. და ოდეს წახვალ, ჯოჯოხეთში რაისთვის აბა? სამოთხის კარი გაგეხსნება ვითარცა საბას. ვაჩვენე არჩილს და ვთხოვე, თამაზს არ უთხრა — ეწყინება-მეთქი. გაიცინა, არ ეწყინებაო, მაგრამ არ ვეტყვიო — დამპირდა.

ახლა, ბატონი თამაზი მომიტევებს, ალბათ, დიდი ხნის წინანდელ ნათქვამს.

რამდენი რამ მომაგონა ფიქრს აღევნებულ ფიქრმა და... ისევ არჩილის სტრიქონები: ...„უკვე არ ვიცი, ვის ვახსოვარ, ვის დავავიწყდი“...

თხუთმეტ თებერვალს სამოცდათერთმეტი წლის გახდებოდა ბატონი არჩილი, ჩვენი არჩილი.

თხუთმეტ თებერვალს, როგორც ყოველთვის „მნათობელები“ მის სახელზე გაშლიან სუფრას, ლეჩხუმურ ღვინით შეავსებენ პატარა ჭიქებს, დაულოცავენ ლამაზ ოჯახს, ცოლ-შვილს და ნაგრამს... და მერე... მერე, წუთიერი დუმილის მერე,... არდავიწყების სასმისს შესვამენ მისივ სიტყვებით: „სადაც წახვედი, იქ სადაც ცხოვრობ, იქნებ დუმილი და სიბნელე არ არის მხოლოდ..“

**ნაზი თარგამაძე**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიდერის თეთრი მაისური

ფოტო ყდაზე



ბიჭიკო ასკურავა და როდიკო მეიშვილი

მკურნალ ბიჭიკო ასკურავასაგან ამ რამდენიმე წლის წინ ავიღე ინტერვიუ, მაშინ იგი მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა, იტალიურ ეზოიან სახლში, პაციენტები ზამთარ-ზაფხულ მორჩილად ელოდნენ თავიანთ რიგს და ყოველდღე ათეულობით კილოგრამ კიდურის ფორმის თაბაშირს ტოვებდნენ. ამ რამდენიმე დღის წინ კი, ასკურავების აწ უკვე კერძო კლინიკაში ვიყავი, ივერიელის ქუჩაზე. ერთ-ერთ კოლორიტულ და პრესტიჟულ უბანში, გერმანელი რეჟისორის თარჯიმნის როლში, რომელიც თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად დოკუმენტურ ფილმს იღებდა ბ-ნ ბიჭიკო ასკურავას სამკურნალო საქმიანობაზე.

სანამ პაციენტთა მიღების დრო მოვიდოდა, ბ-ნმა გეორგმა ზუსტად ჩაიწერა თავის ბლოკნოტში სამუშაო სცენარი, რომელიც, ჩემი აზრით, ასკურავების სამკურნალო ტრადიციებს საინტერესო დეტალებით ავსებს. ბიჭიკო ასკურავას სიჭაბუკეში ხელოვნების ნიჭი აღმოაჩნდა და ველოსპორტს, რითაც მანამდე გატაცებული იყო, მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელში ხეზე კვეთა ამჯობინა. განსაკუთრებით ანატომია იტაცებდა, ძვალ-კუნთოვანი სისტემა. რომ არა ახალგაზრდობაში მიღებული მარცხენა ხელის მოტეხილობა და მამის საგვარეულო წამლის საკუთარ სხეულზე გამოცდა, ალბათ, უფრო გვიან დაინტერესდებოდა მამა-პაპური რეცეპტით. ერთ განკურნებულს მეორე მოყვა, მამამისი, ბ-ნი დავითი თავისუფლად ანდობდა ბიჭიკოს ურთულეს მოტეხილობათა მკურნალობას და ბიჭიკოც თანდათან ხვეწავდა საგვარეულო მეთოდს და მკურნალობის დროს ახალ ფიქსატორებსაც ქმნიდა. იყო კონსერვატორული მედიცინის მძიმე წლები, რომელსაც ბიჭიკო „სულის წრთობის" წლებს უწოდებს და უხარია, რომ მაშინდელი სკეპტიკოსები ახლა უკვე მისი თანამდგომები არიან. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწევა მკვლევართან და მეცნიერთან გია სულაქველიძესთან ერთად.

გეორგმა პირველ რიგში ბ-ნი ბიჭიკოს მეუღლე მოიხმო, ქ-ნი მადონა, რომელიც 30 წელია ბ-ნ ბიჭიკოს კოლეგობას უწევს, გეორგი ყველაფერს აფიქსირებს, იწერს, იღებს, მაგრამ ეტყობა, რაღაც დეტალი სჭირდება მხატვრულობის გასაძლიერებლად. გადაიღო პაციენტები, შვილები, შვილიშვილები, თანაშემწე როდიკო მეიშვილი, მაგრამ რაღაცას მაინც ეძებს. სარდაფიდან ველოსიპედი ამოატანინა, ზედ ბიჭიკო შესვა. კიდევ ეძებს შტრიხს. უცბად გაუნათდა სახე და მიაჩერდა აფიშას, რომელზეც ბიჭიკოს ლიდერის ყვითელი მაისური ეცვა. ასეა მიღებული ველოსპორტში.

— აი, ის მაისური მომიტანეთ და გადააცვით, — ითხოვა მან.

ბიჭიკოს მაისური ჩავაცვით და ველოსიპედზე შევსვით, ყვითელი მაისურის ნაცვლად ბიჭიკოს საოცრად თეთრი, სპეტაკი მაისური ეცვა და დამნაშავესავით იღიმებოდა, რადგან ბავშვებსაც ყვითელი მაისური მოსწონებიათ და ხშირი რეცხვით სულ გათეთრებულა.

გეორგმა ორივე ვიდეოკამერა ბიჭიკოზე „მიუშვა" და გახარებულმა შეყვირა: ეს ხომ სიმბოლურადაც ჟღერს: ლიდერის თეთრი მაისური!

ასე დავარქმევ ჩემს ფილმს!

P. S. ერთ-ერთი ცნობილი ეთნოგრაფი იკვლევდა სახალხო მკურნალების საქმიანობას. გაუვალ ჯუნგლებში მოგზაურობისას ერთ-ერთი ტომის ბელადმა უთხრა:

— იქ, იმ უკაცრიელ კუნძულზე, ერთი მოხუცი მკურნალი გარეულ ცხოველებს კურნავსო.

როდესაც მკვლევარი მოხუცს ეწვია, იგი შევარდენს ფეხს უხვევდა.

— კი მაგრამ, ვის მოჰყავს თქვენთან ეს გარეული ცხოველებიო? — გაიკვირვა მეცნიერმა.

— თვითონ მოდიან, — წყნარად უპასუხა მოხუცმა ბრძენმა და განკურნებული შევარდენი თავის სტიქიას დაუბრუნა.

ჩვენ დავსძენდით, ესეც ძალიან სიმბოლურია.

**ია სულაძე**



ბიჭიკო ასკურავა და გეორგ ფონ ლინგენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრაქტიკუმი მშობლებისათვის

ეს პრობლემები მრავალ მშობელს აღელვებს. სპეციალისტთან ვიზიტი კი ყოველთვის ვერ ხერხდება.

მშობელთა შეკითხვებს უპასუხებს მოსკოვის ბავშვთა ფსიქოთერაპიისა და ფსიქოანალიზის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოანალიტიკოსი ნინა ასანოვა:

**— ჩემს 8 წლის ბიჭს ერთი ცუდი თვისება დასჩემდა. რაიმეს აიჩემებს და თუ ვერ მიიღო, შუა ქუჩაში, ტრანსპორტში ისე აღრიალდება, გეგონებათ კლავენო. ტირილისაგან ჩაბჟირდება. დასასჯელად მეცოდება. როგორ მოვიქცე?**

— უფრო ხშირად, ბავშვის ასეთი მღელვარე რეაქცია იმითაა გამოწვეული, რომ შინ რაიმეზე უარის თქმას არაა მიჩვეული. მსგავს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მისი გალანძღვა და დასჯა მიზანშეუწონელია. შეეცადეთ, ბავშვის ტირილზე არ განერვიულდეთ. დაამშვიდეთ და ეცადეთ, ყურადღება სხვა საგანზე გადაუტანოთ. ნუ წაჰყვებით პატარა დათმობებზე — ბავშვები მშვენივრად გრძნობენ, რომ ნებისყოფამ გიმტყუნათ და კიდევ უფრო მეტი სიჯიუტით მოითხოვენ სურვილის შესრულებას.

**— ჩემი ოთხი წლის ბიჭი ნაზი და ალერსიანია. ძალიან ვუყვარვარ, ხშირად მეხვევა და მკოცნის. ჩემი ქმარი კი მის ასეთ საქციელზე ბრაზობს. მისი აზრით, ჩვენი შვილი გოგოსავით იქცევა. ნუთუ ეს, მართლაც, არანორმალურია, ბიჭიც ხომ შეიძლება ალერსიანი იყოს?**

— თქვენი შვილის ქცევა ბიჭის ნორმალურ ფსიქოსექსუალურ განვითარებას შეესაბამება. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია დედისადმი ინტერესი, რადგან დედა მისთვის მხოლოდ საკვების მომწოდებელი კი არა, მისი სიყვარულის პირველი ობიექტიც არის. მამისგან სინაზისათვის ბავშვის დატუქსვა გაუმართლებელია. ერთი კია, მამამ თავისი ქცევით ვაჟიშვილს სურვილი უნდა გაუღვიძოს, დაემსგავსოს მას, როგორც მამაკაცს. კაცად აღზრდა-ჩამოყალიბებაში მამის როლი ძალზე დიდია.

**— ვცდილობ, ბავშვი პატარაობიდანვე მივაჩვიო წესრიგს, მაგრამ ხანდახან გასეირნების წინ სათამაშოების დალაგების მოთხოვნა მის აშკარა პროტესტს იწვევს. (ბავშვი წლინახევრისაა). მე ვაიძულებ შეასრულოს ჩემი თხოვნა, რაც ცრემლებით მთავრდება. იქნებ სჯობს, ხანდახან დავთმო?**

— ის, რაც დედას უწესრიგობად ეჩვენება, ხანდახან ბავშვისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ასაკში ბავშვს წესრიგის მოთხოვნილება სულაც არ გააჩნია. აცადეთ, დაე, გასეირნების შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს შეწყვეტილ თამაშს. მით უმეტეს, არ ღირს ამის გულისთვის ბავშვის ატირება. მოცემულ შემთხვევაში კომპრომისი უფრო სასარგებლოა, მაგრამ თუ ბავშვი არ გაჯიუტდება და მონაწილეობას მიიღებს დალაგებაში, ნუ დაგავიწყდებათ მისი შექება-წახალისება.

### ჩაიცვი — გაიხადე!

ყველა მშობელს სურს, მათმა შვილმა ყველაფრის გაკეთება სწრაფად ისწავლოს. მაგალითად, ჩაცმა და გახდა. მაგრამ ეს რთული ჩვევაა, რომელიც მშობლებისაგან დიდ მოთმინებას მოითხოვს. რომელი ასაკიდან შეიძლება ბავშვს ვასწავლოთ დამოუკიდებლად ჩაცმა—გახდა?

— 9 თვის პატარას მხოლოდ ფეხსაცმლის წაძრობა ან ქუდის მოხდა შეუძლია, ისიც ინსტინქტით.

1 წლისა დამოუკიდებლად იხდის ფეხსაცმელს და ქუდს, მაგრამ არ შეუძლია თასმების შეკვრა და გახსნა.

2 წლისა დამოუკიდებლად იცვამს, მაგალითად, ქურთუკს ან სვიტერს.

3 წლისა იცვამს ქურთუკს, შარვალს, ქვედა კაბას და ფეხსაცმელს. ღილებს, „ელვას" თავისით იხსნის, თუმცა შეკვრა სხვის დაუხმარებლად არ შეუძლია. თასმების შეკვრაც უჭირს.

4 წლისა უკვე ყველაფერს დამოუკიდებლად იცმევს. იკრავს ღილებს და ბაფთებს, თუმცა ფეხსაცმლის შეკვრა მაინც არ შეუძლია.

5 წლისა სწრაფად იცვამს ტანსაცმელს და ფეხსაცმელს.

## გვახსოვხართ

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ეთერ ღლონტს, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისი გულღია, ლაღი, ხალისიანი ბუნებით, სიკეთითა და სითბოთი, ენერგიითა და გულმხურვალებით, რაც ესოდენ საჭირო იყო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას.

სიცოცხლის წყურვილით სავსეს, ჯერ კიდევ ახალგაზრდას უმუხთლა ბედმა და 23 წლის წინ სარეცელს მიაჯაჭვა.

მისი ერთადერთი ქალიშვილი — ქეთი ფულარია, შვილიშვილი გიორგი გოგუა და შემორჩენილი მეგობრები უფერადებენ მოწყენილ, ერთფეროვან დღეებს; დიდ სულიერ საზრდოს კი საკუთარი პოეტური შემოქმედება აძლევს.



ეთერ ღლონტი

### ნეტავი გამაგებია

ხო, არ მეშლება, სწორს ვამბობ,
გაგრილდა კი არ აგრილდა; —
აგრილდა იქნებ ამინდი,
მარტს ასეთი რამ სჩვევია...
რატომ გაგრილდა ეს გული —
ნეტავი გამაგებია?..
ვინ დაუწია გრძნობის ალს,
რამ დაამშვიდა ტალღები?..
იქნება ნამის ციმციმმა,
რომ დამისველა თვალები,
იქნება თეთრმა ბწკარებმა —
თმებში რომ აფორიაქდა
ან რომ წაზვედი სხვასთან და
კარი დატოვე ღიადა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოცვის ძალა შველის ბოროტ სულთაგან შეპყრობილთ

ეს ამბავი 1994 წლის 2 ოქტომბერს მოხდა:

სოფელში ვიყავი ბებიასთან. კვირა საღამო იყო.

ახალი ჩაძინებული ვიყავი, კარის მეზობელმა რომ დამიძახა, ბავშვი გვყავს ძალიან ცუდად, ჩვენთან გადმოდი და თან წნევის აპარატი წამოიღეო. გამიკვირდა, 13-14 წლის გოგონასთან წნევას რა უნდა-მეთქი! არა და, მართლა, 130/90-ზე ჰქონდა. ბავშვი ძალიან წუხდა, თვალებს შეშინებულივით აბრიალებდა და ძლივს სუნთქავდა. რაკი წნევის გამომწვევი მიზეზი არ ვიცოდი, წამლის მიცემა ვერ გავბედე და ვურჩიე, უბნის ექიმი მოეყვანათ. ექიმი თავადაც ავად ყოფილა. ბავშვის მდგომარეობა წუთიწუთზე მძიმდებოდა.

გოგონა დედას სთხოვდა, ფეხებზე ხელი გამისვიო. დედა ეფერებოდა, მაგრამ ბავშვი მაინც ძალიან წუხდა. უცებ ჩაწყვეტილი ხმით ამოიგმინა: ვიღაცა ფეხებში დანებს მიყრისო. ვიფიქრე აბოდებს-მეთქი და შევეცადე, დამემშვიდებინა. ის კი შეძრწუნებული მიხსნიდა, რომ ვიღაც შავკაბიანი, ცხვირმოკაუჭებული დედაბერი თავს დამტრიალებს და ფეხებში დანებს ტარიანად მიტოვებსო, ყელში ვიღაც უხილავი შავ ხელს მიჭერს, ხერხემალში კი გრძელი საბრძოლო იარაღი — შუბი მაქვს გაყრილიო. დავრწმუნდი, ბავშვი ნამდვილად ხედავდა ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავ საგნებს, — ეს ყველაფერი კი ბოროტი ძალებისაგან მოდიოდა. სად არის-მეთქი ის დედაბერი? — ფანჯარასთან დგას, მეჭყანება და შენზე მეუბნება: მოკალი, მოკალიო. ზოგჯერ ხარხარებს და მაიძულებს, შენც ასე იხარხარეო, ზოგჯერ კი მირისხდება და მემუქრებაო.

ასეთ შემთხვევას მანამდე არც შევსწრებივარ, არც არასოდეს გამიგონია. გონება მოვიკრიბე და გულისხმას მივენდე, — ჯერ „იესოს ლოცვა“ წავუკითხე და თვითონაც გავამეორებინე, მერე კი „მამაო ჩვენო“ წავუკითხე. პირველ ლოცვაზე იმ ბოროტმა სულმა გაოცებით ჩაიბურდღუნაო: „ერთი ამას უყურე!“ „მამაო ჩვენოზე“ კი კაბა გაუთეთრდა, მაგრამ ბოლოში შავი ლაქები მაინც დარჩაო. გოგონას ვუთხარი: „უფალო შემიწყალე!“ იმეორე, ხნამ შემოვალ-მეთქი, მე კი მის მშობლებთან გავედი და ჩემი ეჭვი გავანდე: ბავშვს ავი სულები აწუხებენ და მღვდლის მოყვანაა აუცილებელი-მეთქი.

მოძღვარი სახლში არ დახვდათ, მეზობლებმა რომ გაიგეს ბავშვის მდგომარეობა, ყველა მოვიდა, მაგრამ დახმარება არავის შეეძლო. მეც არ ვიცოდი, რა მეღონა, — გულის კარნახით ვმოქმედებდი...

თბილისიდან ყოველდღიური სამსაათიანი ლოცვების გარდა არაფერი წამიღია. წავედი სახლში იმ ლოცვების მოსატანად. ხუთ წუთში დავბრუნდი და გოგონას ვკითხე, ახლა სად არის-მეთქი დედაბერი? — შენ რომ წახვედი, გაქრაო, მერე კი შავი ჩიტი ჩამოფრინდა ჩემს სასთუმალთან და კედელში შეფრინდაო. ამას რომ მეუბნებოდა, უცებ თვალები გაუფართოვდა და ამოიოხრა: მოვიდა, აი, მოვიდა, ფანჯარასთან ფეხით ჩამოეკიდა, ბზრიალებს, მეჭყანება და ხარხარებს. (თან გაოცებით მეკითხებოდა, ნუთუ შენ არ გესმის მისი ხარხარიო?!).

გოგონა თვალმოუშორებლად მიშტერებოდა იმ ფანჯარას და ციებიანივით ცახცახებდა. წიწ ჩამოვუჯექი; რათა ბოროტი სული აღარ დაენახა. უღონოდ შემომხედა და ჩურჩულით მითხრა: შენ გგონია, ველარ ვხედავო? ახლა ჭაღზე შემოჯდა და უამრავი თავისნაირი მოიყვანა. შეხედე, შეხედე, როგორ ხარხარებენ, ნუთუ ცოტათი მაინც არ გესმისო?!

ბავშვის დედას ვთხოვე, ნათლობის ჯვარი და კელაპტრები მოეტანა, გოგონას კი ვარწმუნებდი, რომ მალე ეს ბოროტი სულები გაქრებიან და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. თუმცა ის ყურადღებას აღარ მაქცევდა, თვალებგაფართოებული მიშტერებოდა ჭაღს და ლუღლუღებდა: ესენი ისეთი საზიზღრები არიან, თუ ერთი შეუჩნდნენ ადამიანს, თავს აღარ გაანებებენ. მე ვიცი, რომ ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, ვიცი წამიყვანენ, ვიცი წამიყვანენო... რა იცი, რომ წაგიყვანენ-მეთქი და თვითონ მითხრესო.ძალიან მეშინია, გთხოვ, არ მიმატოვოო.

ამ დროს შემოვიდა ბავშვის დედა, — ჯვარი და კელაპტრები შემოიტანა. ოთახი ხალხით იყო სავსე, გოგონას დედა არ დაუნახავს, ჩემთვისაც არ შემოუხედია, ჭაღზე თვალმიშტერებულმა ჩურჩულით მითხრა: ახლა კიდევ, იცი, როგორ დაღონდნენ? ზოგი აცახცახდა, სახე ელრიცებათ და უცნაურად იყურებიანო.

მივხვდი, ჯვრის ძალა იგრძნეს ბოროტმა სულებმა და უფრო იმედიანად დავიწყე ლოცვა. კელაპტრები ბავშვის დედამ აანთო, მე „ლოცვანი“ გადაშლილი მეჭირა. ექვსსაათიანი ლოცვა ისე დავამთავრე, გოგონას თვალი არ მოუშორებია ჭაღისათვის. მე ვუთხარი, „იმათ“ ნუ უყურებ-მეთქი, — მე არ მინდა მათი შეხედვა, მაგრამ „ისინი“ მეძახიან და ჩემდაუნებურად მიაქვთ ჩემი თვალებიო. მაშინ ვუთხარი: რაკი ისინი გეძახიან, ნუღარ შეხედავ, მე გთხოვ, ლოცვების წიგნს თვალი არ მოაშორო, „იმათკენ“ აღარ გაიხედო-მეთქი, მართლაც, ცხრასაათიანი ლოცვა რომ დავიწყე, გოგონა წიგნის ყდას თვალს არ აშორებდა, 50-ე ფსალმუნი დამთავრებული არ მქონდა, რომ მითხრა: ახლა ერთი დაპატარავდა და ამ წიგნის ყდაზე დაჯდაო. ცოტა არ იყოს, შევკრთი, მაგრამ არ შევიმჩნიე; გულში კი, ჩემი მცირედმორწმუნეობის გამო, გადავწყვიტე: 90-ე ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ თუ ისევ წიგნის ყდაზე იქნება ის წყეული, ლოცვებს აღარ გავაგრძელებ, დავხურავ წიგნს და გოგონა უნდა დავარწმუნო, რომ არავითარ სულებს არ ხედავს, უნდა ავუხსნა, რომ ის ავადაა და საკუთარი წარმოსახვით ეჩვენება რაღაცეები.

დავიწყე 12-საათიანი ლოცვების კითხვა და ის იყო, 90-ე ფსალმუნზე გადავედი, რომ ბავშვმა თქვა: ახლა კიდევ, იცი, როგორები მოვიდნენ? — ფრთიანი, ტიტველი ბავშვები! — გახალისდა გოგონა და თვალს ადევნებდა ახალ „სტუმრებს“.

ჩავათავე თუ არა 90-ე ფსალმუნი, ვთხოვე, დაწვრილებით გადმოეცა ყველაფერი. ბავშვი ალტაცებით მიხსნიდა: ახალი ლოცვა როგორც კი დაიწყე, მაშინვე

ოთახის მარჯვენა მხრიდან ეს „ბავშვები" გადმოფრინდნენო ჩემსკენ, ფარდასავით ჩამოეშვნენო ჩემსა და ჭალს შორის, ოთხი საწოლის თავებზე ჩამოჯდა, ერთი შენ დაგაფრინდა მხარზე, ზოგი ოთახში დაფრინავს, ზოგი კი ხელებგაშლილი წავიდა ჭალისაკენ, „ისინი" გარეკეს და „იმათ" ადგილებზე დასხდნენო. „ისინი" ცაში გაფრინდნენ? — ჰკითხა ერთმა მეზობელმა — არა, როგორ გაფრინდებიან?! ძალიან დაპატარავდნენ, აცახცახდნენ და თვალებდაჭყეტილები უკან-უკან მიიწევენ, წერტილისხელები ხდებიან და შორს, შორს კვამლში ქრებიანო. „ესენი" კი, ჩემი „ღიპუჭები" დანებს მიღებენ ფეხებიდან და მეფერებიან, აი, ახლა ის შუბიც ამომაძრეს! — შვებით ამოისუნთქა გოგონამ და საწოლში წამოჯდა.

დარწმუნებული ვიყავი, რეალურ სურათებს ხატავდა, მაგრამ მაინც გამომცდელ კითხვებს ვაძლევდი: რა ფერის ფრთები აქვთ-მეთქი ანგელოზებს? ოქროსფერი, მზისფერი ფრთები აქვთო. რომელ მხარზე მაზის-მეთქი ანგელოზი და მარჯვენაზეო. რა ფერის თმები აქვთ-მეთქი, — ზოგს ოქროსფერი, ზოგს — ღია წაბლისფერიო, თვალებიც ყველას ღია ფერის აქვსო, ზოგს ცისფერი, ზოგს თაფლისფერიო. გოგონები არიან თუ ბიჭები-მეთქი? გოგონამ პასუხი დააყოვნა, კარგა ხანს აკვირდებოდა თითოეულს, ბოლოს კი გაოცებით მითხრა: სულ მთლად ტიტველები არიან, მაგრამ არ ეტყობათ, გოგონები არიან თუ ბიჭებიო. (ბავშვი არარელიგიურ ოჯახში ცხოვრობდა, თუმცა თვითონ დიდ ინტერესს იჩენდა სარწმუნოების მიმართ. სოფლის სკოლებში ჯერ არ იყო რელიგიის სწავლება. მისი „თეოლოგიური ცოდნა" ამოიწურებოდა ჩემთან საუბრებით. მე კი მისთვის არასოდეს მითქვამს, რომ ანგელოზი უსქესოა). ამ პასუხმა საბოლოოდ დამარწმუნა გამოცხადების ჭეშმარიტებაში.

გვიანობამდე ბავშვთან ვიყავით, გამომშვიდობებისას დავაიმედე, „ისინი" ველარ მოგეკარებიან-მეთქი. ვიციო, — გულდადინჯებით მიპასუხა. საიდან იცი-მეთქი? — დავინტერესდი, — „ჩემებმა" მითხრესო. „ჩემებს" კეთილ ანგელოზებს ეძახდა. მითხრეს, რომ შენ თავს აღარ გაგანებებთ, სულ შენთან ვიქნებითო.

მეორე დღეს მითხრა: ახლა ოთხიღაა ჩემთან, საწოლის თავზე სხედანო. შენი კიდევ შენს მხარზე ზისო. დანარჩენები საჭირონი აღარ არიან, ის ბოროტები ხომ გარეკესო!..

მეზობლის ბავშვები შემოვიდნენ ოთახში, — გოგონას გაეცინა! ზურიკოს ზუსტად თავისნაირი ოქროსკულულებიანი და ცისფერთვალა პაწია ანგელოზი აზის მარჯვენა მხარზეო, გიორგის კიდევ — ქერა, თაფლისფერთვალებიანიო. გიორგის და ზურიკოს თავიანთი დეიდაშვილი ნატო ახლდათ, ნატოს ანგელოზს რა ფერის თვალები აქვს-მეთქი და ნატოს ანგელოზი არ ახლავს, იმიტომ, რომ მოუნათლავიაო, „ჩემებმა" მითხრეს, მოუნათლავიაო. (პატარა სტუმარი, მართლა, მოუნათლავი ყოფილა).

გოგონა ოთახიდან რომ გადიოდა, ამბობდა: ორი ანგელოზი თან მომყვება, ორი კი საწოლზე რჩებაო, „ესენი" მე მიცავენ, „ისინი" კი — საწოლს, ბოროტები რომ აღარ მომეპარონო.

მესამე დღეს სახლი აკურთხებინეს. გოგონამ მითხრა: მოძღვარს ანგელოზი ბეჭებს უკან დაჰყვება, მასაც ოქროსფერი ფრთები აქვს, ოღონდ ჩვენს ანგელოზებთან შედარებით დიდიაო, კურთხევის შემდეგ ყველა ანგელოზს ფრთები გაუთეთრდაო...

ერთი კვირის შემდეგ თბილისში დავბრუნდი; გოგონა ისევ ხედავდა ანგელოზებს, მერე კი მშობლებს რაღაც წამლები მიუციათ და არაჩვეულებრივი ხედვის უნარი თანდათან დაეკარგა.

**რედაქციისაგან:** ავტორი ხელს არ აწერს ტექსტს და არც გოგონას ვინაობას ამხელს, რადგან ფიქრობს: შესაძლოა, ვინმეს მცდარი წარმოდგენა გაუჩნდეს მის რელიგიურ შესაძლებლობებზე. ჩვენს კოლეგას მიაჩნია, რომ ყველას ლოცვა შესმენილი იქნება, მთავარია, მთელი არსებით მივენდოთ უფალს.

**ამ საოცარი მოვლენის შესახებ კითხვებით მივმართეთ მიტროპოლიტ კონსტანტინეს, რომელმაც ახსნა-განმარტება გააკეთა და ლოცვა-კურთხევა მოგვცა დასაბეჭდად.**

**— მეუფეო, რამ განაპირობა ბოროტ სულთა შემოსევა?**

— ბოროტი სული, საერთოდ, ადამიანს ეუფლება იმ დროს, როდესაც იგი დაუძლურებულია, რაიმე სტრესის ქვეშ არის ან მაგიის ზეგავლენას განიცდის. ბოროტ სულებს შეუძლიათ ავადმყოფური მდგომარეობა გააძლიერონ ადამიანში, სტანჯონ და კიდეც წარსტაცონ სიცოცხლე, თუ კი ამისი პირობები შეექმნებათ, ე. ი. თუ კეთილი ძალა არ დაიცავს რაიმე მიზეზის გამო. ხანდახან ხდება, რომ ანგელოზი გამწყრალია ადამიანზე, წასულია მისგან, ამ დროს ბოროტ სულებს ძალუძთ ადვილად დაიმორჩილონ პიროვნება, გააწამონ და სულიც კი ამოხადონ.

კონკრეტულ შემთხვევაში ბოროტ სულთა შემოსევას ხელი შეუწყო ბავშვის უკურთხებელ სახლში ცხოვრებამ და მშობლების ურწმუნოებამ. მორწმუნე ქრისტიანის ოჯახში ვერასოდეს შეაღწევს ბოროტი ძალა. აქვე აღვნიშნავ, რომ მორწმუნეობა მარტო ღვთის აღიარებით არ განისაზღვრება, — პირველ რიგში, სატანას სწამს ღმერთი (ის დარწმუნებულია ღვთის არსებობაში და ამიტომაც ებრძვის მას), მაგრამ სიკეთის ქმნა არ შეუძლია... ჭეშმარიტი მორწმუნეობა უფლის მცნებების დაცვაა!

**— მაინც რამ იხსნა ბავშვი, ნაკურთხი ჯვრის შებმამ თუ ლოცვებმა?**

— გადამდეგი სული დასაბამითგან ვერ უძლებს მაცხოვრის პატიოსანი ჯვრის ხილვას, ვინაიდან სულიწმიდის მადლი გამოსხივდება პატიოსანი ჯვრიდან და თრგუნავს ბოროტ ძალას.

**—მოძღვარი წაიკითხავს ლოცვას თუ საერო პიროვნება, ამასაც არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

— მოძღვრის მიერ წაკითხულ კანონიზებულ ლოცვას, რა თქმა უნდა, მეტი ძალა აქვს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ლოცვას მაინც აქვს ზემოქმედების ძალა მიუხედავად იმისა, ლოცვა განრიგით, დანიშნულებისამებრ იქნება წაკითხული თუ არა, საერო თუ სასულიერო პირისაგან. თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორი პიროვნება — როგორი საერო ან სასულიერო პირი კითხულობს ლოცვას.

**— რით ხსნით ანგელოზთა ფრთების გათეთრებას სახლის კურთხევის დროს?**

— ზეციური ძალნი, როდესაც ძლიერ ლოცვებს შეემსჭვალებიან, თეთრ ფერში გადადიან.

**— როგორ უნდა იცხოვროს მორწმუნე ქრისტიანმა?**

—ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა იკითხოს დილა-საღამოს ლოცვები, ეკლესიაში ესწრებოდეს წირვა-ლოცვას, აუცილებლად უნდა ატაროს ჯვარი პატიოსანი.

**— მეუფეო, დაგვლოცეთ!**

— ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო! „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენ ყოველთა თანა". ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლა თავისი აღზრდილებით ამაყობს



კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში მშვენიერი იუბილე გაიმართა, რომელიც თბილისის იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მე-6 სამუსიკო სკოლის დაარსებიდან 75-ე წლისთავს მიეძღვნა.

საღამოზე გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ სკოლის ყოფილი აღსაზრდელები, აწ სახელოვანი ადამიანები, ხელოვნების მოღვაწენი. კულტურის მინისტრმა ბ-ნმა ვალერი ასათიანმა ღირსების ორდენები და მედლები, პრეზიდენტისა და კულტურის სამინისტროს მადლობები გადასცა სკოლის დირექტორს ბ-ნ არჩილ გამცემლიძეს, პედაგოგებს.

სკოლის სახელოვან წარსულსა და დღევანდელობაზე გვესაუბრება რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, სასწავლო ნაწილის გამგე ქ-ნ **ლალი ზურმუხტაშვილი**.

**— ქ-ნო ლალი, ყველასათვის ცნობილია, რომ რეფორმის „მკაცრი ხელი“ განათლების სფეროსა და, მათ შორის, სამუსიკო სკოლებსაც შეეხო, რა გავლენა იქონია ამან თქვენს მუშაობაზე და როგორი მდგომარეობაა დღეს?**

— მოგეხსენებათ, ყოველივე ახალი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით იწყება. ჩვენს სფეროშიც საკმაოდ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ორიოდე წლის წინ დაისვა საკითხი, რომ დღეისათვის თბილისში არსებული 30-მდე სამუსიკო სკოლა „ძვირადღირებულ სიამოვნებას“ წარმოადგენს და მათი შემცირებაა საჭირო. ამან სამუსიკო სკოლების მწვავე რეაქცია გამოიწვია, საკითხი დროებით შეჩერდა, თუმცა კვლავ დღის წესრიგშია. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, სკოლებს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას უპირებენ, ახლანდელი უსახსრობის პირობებში კი ეს მათ დახურვას გამოიწვევს, რადგან დღეს, როცა ნაწილობრივ გვაფინანსებს მთავრობა, გადასახადმა მაინც მოიმატა, ამან შეამცირა მოსწავლეთა რაოდენობა, გეგმით გათვალისწინებული საგნები, ხოლო თუ ასე გაგრძელდა, იოლი წარმოსადგენია, რაც მოხდება. მოზარდის ესთეტიკური აღზრდა და განვითარება უმუსიკოდ წარმოუდგენელია. ყველა მუსიკოსი ვერ გამოვა და არცაა საჭირო, მაგრამ განა ცოტას ნიშნავს კარგი მსმენელი, ხელოვნებაში ავისა და კარგის გამრჩევი და დამფასებელი?

**— ცოტა რამ თქვენი სამუსიკო სკოლის წარსულიდან.**

— ჩვენი სასწავლებელი 1921 წელს დაარსდა და, რადგან შენობა არ გააჩნდა, კარგა ხნის მანძილზე გაკვეთილები პედაგოგების ბინაზე ტარდებოდა. ის შენობა, რომელშიც ვიმყოფებით, 1948 წელს გადმოგვეცა, ომის წლებში უსახსრობა და გაჭირვება არ მოგვკლებია, მაგრამ საოცარი თაობები აღიზარდა, ჯერ მარტო სკოლის ხელმძღვანელობა რად ღირს: ელენე გედევანიშვილი და ნათელა ფოცხვერაშვილი (კოტე ფოცხვერაშვილის ქალიშვილი), ლავრენტი ოძელაშვილი და თინა კორძაია... ახლა პედაგოგებს არ იკითხავთ? ნუნუპაროვა, დეკანოზიშვილი, როვნერი, აბგაროვა, ნემეტი, ჩოლოყაშვილი, სამსონია და მრავალი სხვა.

— ტრადიციულად მე-6 სამუსიკო სკოლა მოსწავლეთა მომზადების მაღალი დონით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ შორეულ წლებში, როცა ჩვენთან ხანმოკლე დროით არსებობდა ვოკალური განყოფილება, სკოლამ „მოაწოდა“ და შემდგომში ოპერის ცნობილი მომღერალი ელისაბედ კონსტანტინოვა აღზარდა.

რაც შეეხება დანარჩენ აღსაზრდელებს, მარტო მათი სახელებიც საკმარისია, გარკვეული შთაბეჭდილება რომ შეგვექმნათ ჩვენზე: რესპუბლიკის სახალხო არტისტები: გულნარა ქავთარაძე და ბორის ჭიაურელი, კონსტანტინე ვარდელი და თამარ გაბარაშვილი, რევაზ გაბიჩვაძე და ნიკოლოზ გუდიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი და ჯემალ სეფიაშვილი, ევგენი მაჭავარიანი და ჯიმშერ მუჯირი, პროფ. მარინე ნათიშვილი, ავალიშვილი და მრავალი სხვა.

**— თქვენი სკოლა ქართული მუსიკის პროპაგანდისტად გვევლინება და დიდ როლს ასრულებს ეროვნული მუსიკალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.**

— სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ პირველობას ვერავინ შეგვეცილება, ეს ჩვენი არსებობის მიზანია და ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის, როცა ქართული ნაწარმოებების შესრულება და პროპაგანდა გარკვეულწილად ეთაკილებოდათ კიდეც. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო პედაგოგ დინა სამსონიას მუშაობა, რომელიც ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო. დღეს მის ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ქ-ნი მთვარიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიფიანი, რომელმაც ჯერ კიდევ ზესტაფონის სამუსიკო სკოლაში გამოიჩინა თავი. მისი მოსწავლეების მიერ გამართულმა კონცერტმა, რომელზეც ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები შესრულდა, ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ აღფრთოვანებულმა კომპოზიტორმა პედაგოგი და ბავშვები თბილისში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოიწვია და კონცერტის განმეორება სთხოვა.

**— დარწმუნებული ვარ, ქ-ნ მთვარიდას თბილისში თქვენი სახით კარგი თანამოაზრე დახვდებოდა...**

— დიახ, (ეღიმება) მართლაც, შესანიშნავი ტანდემი გამოგვივიდა, მრავალი დასამახსოვრებელი საღამო გაიმართა მისი მოსწავლეების მონაწილეობით. პედაგოგის ყველა მოსწავლე, მონაცემების მიუხედავად, აუცილებლად მონაწილეობს კონცერტში და მათ ისეთი ცნობილი პიროვნებებისათვის გაუწევიათ აკომპანიატორობა, ბევრი პროფესიონალი რომ ვერ გარისკავდა. მხედველობაში მყავს ჯემალ მდივანი, თენგიზ ზაალიშვილი, მერაბ დონაძე, ნათელა კირვალიძე, თამარ გვერდწითელი, გენო ნადირაშვილი...

**— ქ-ნო ლალი, ცნობილია, რომ მე-6 სამუსიკო სკოლამ კიდევ ერთ დიდ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, საუბარია ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლების განყოფილებაზე.**

— 1987 წელს პედაგოგ თამარ გურაშვილის ინიციატივით მგალობელ გოგონათა გუნდი შეიქმნა. გამოგიტყდებით, ყველა აღფრთოვანებით არ შეხვედრია ამ წამოწყებას. ეს იყო სამუსიკო სკოლაში ქართული საგალობლების მაღალპროფესიულ დონეზე და ფართო მასშტაბით შესწავლის პირველი ცდა, რამაც გაამართლა და გუნდმა მრავალი წარმატება მოიპოვა.

**— რით შეხვდა სკოლა საიუბილეო თარიღს?**

— წარმატებებით. 1997 წელს გამართულ ნორჩ შემსრულებელთა პირველ საქალაქო და რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში ჩვენმა აღსაზრდელებმა: გვანცა გავაშელიშვილმა (რესპ. დამს. პედ. მთ. ყიფიანი), გვანცა დოლიძემ (რესპ. დამს. პედ. ეკ. აკოფოვა), ნინო დავითაშვილმა (რესპ. დამს. არტ. მ. ქლიბაძე) საქალაქო კონკურსზე ლაურეატის წოდება მოიპოვეს და რესპუბლიკური პრიზიორებიც გახდნენ. იმავე საქალაქო კონკურსზე ლაურეატის წოდება მოიპოვეს, და რესპუბლიკური პრიზიორებიც გახდნენ. იმავე საქალაქო კონკურსზე გვანცა გავეშელიშვილმა სპეციალური პრიზი დაიმსახურა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისათვის, ზოლო ნინო კალანდაძე (პედ. მთ. ყიფიანი) დიპლომანტი გახდა.

**— მომავლის გეგმებზე რას გვეტყოდით?**

— ჩაფიქრებული გვაქვს ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების კონკურსის გამართვა, ჟიურის თავჯდომარეობა მის ვაჟს — ბ-ნ ვახტანგს გვსურს ვთხოვოთ. გეგმაშია საქალაქო და რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებული თბილისის სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა საჩვენებელი კონცერტი, მაისში პედაგოგთა კონკურსში გამარჯვებულებს ვუმასპინძლებთ, გვინდა ტრადიციად ვაქციოთ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების კონკურსი, სხვა საინტერესო ჩანაფიქრიც გვაქვს...

ესაუბრა **მანანა იმესაშვილი**

ფოტოები იხ. გარეკანის IV გვ.-ზე

**თამარ ბურნაძე-ფიფიკაშვილი** გორის რ-ნის სოფ. ქვახვრელიდანაა.

1992 წლის დეკემბერში მისი 21 წლის ვაჟი — ზაზა წიწიკაშვილი ჩხოროწყუში ძმათა მკვლელ ომში დაიღუპა.

სწორედ შვილის ხსოვნას უძღვნის ქალბატონი თამარი ამ ტკივილიან სტრიქონებს.

## იქნებ

იქნებ დამავიწყდი, იქნებ,
სულში აღარ მათოვს, იქნებ,
იქნებ ქარიც ჩადგა, იქნებ,
ცეცხლი გამინელა, იქნებ.

იქნებ გათელილი რწმენა
ჩალით გადავხურე, იქნებ,
იქნებ სულითწმინდა ტაძარს
თალი ჩამოენგრა იქნებ.

იქნებ სვეტიცხოვლის გუმბათს
ბზარი შეეპარა, იქნებ,
იქნებ აღარ გამქყვეს ფრიდონ
დავით — თამარიონს, იქნებ.

იქნებ აღარ ჰექდეს, იქნებ
ხმალი გიორგისა, იქნებ,
ბინდი გადაეკრა, იქნებ
ლამპარს წინაპართა, იქნებ.

იქნებ ბრძოლის ველზე, იქნებ
გმინავს ქართლის დედა, იქნებ,
იქნებ ქაჯეთს დარჩეთ, იქნებ,
ფსოუ, სამაჩაბლო, იქნებ.

ფიქრობ: „დავაიწყდი იქნებ,
ზვარაკშეწირული იქნებ..."
კვლავაც შავი ჩოხა გმოსავს,
სისხლით ნაფერ დროშას იქნევ!

## აღსრულდეს

ბაგეს ეპკურა საამბორებლად
ღვინო ანკარა — კარდანახული...
ნათელში იყავ მოძმით ჯვარცმული,
მარადისობად გარდასახული!

ცხადში აღსრულდეს, დაე, ყოველი,
სისხლის წვიმაში სიზმრად ნახული,
ბაქარ ჰპოვებდეს ტაძრამდე სავალს,
მიზნად რომ გქონდა გულს დასახული!

# კულინარია კულინარია

## ბრინჯის ფლავი მოშუშული ხორცით

1 კილოგრამი რბილი, ზომიერად მსუქანი ხორცი (სასურველია ცხიმის განლაგება ფენებად ჰქონდეს), დაჭერით ერთი გოჭის ზომაზე და თითის სისქეზე. მოათავსეთ ქვაბში ან სქელძირიან ტაფაზე, დაასხით მდუღარე წყალი ისე, რომ ხორცი დაფაროს და შედგით ცეცხლზე. წყალს რომ შეიშრობს, ხორცის შუშვა ცხიმში განაგრძეთ ნაზ ცეცხლზე. ხორცი რომ მომზადდება, ცალკე გადმოიღეთ და იმავე ცხიმში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი 400 გრამი ხახვი (გაყვითლებამდე). შეურიეთ მოშუშული ხორცი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა პამიდვრის საწებელა ან ნახევარი ჩაის ჭიქა ტომატ-პასტა. დაუმატეთ ნახევარი ჩაის კოვზი შავი პილპილი და ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. აურიეთ კარგად და შედგით ძალიან ნაზ ცეცხლზე 5-10 წუთით.

2 ჩაის ჭიქა დარჩეულ და გარეცხილ ბრინჯს დაასხით 5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაუმატეთ გემოვნებით მარილი და 100 გრამი კარაქი, შედგით ცეცხლზე და ადუღეთ ისე, რომ არ აურიოთ. როცა ბრინჯი ამოფუვდება (ოდნავ აკლდეს კიდეც ხარშვა), გადმოდგით, შეფუთეთ თბილად და 20-30 წუთის შემდეგ გადმოიღეთ ორ ლანგარზე ან დიდ გაშლილ თეფშზე. ზემოდან ორივეზე გადაანაწილეთ ჩაშუშული ხორცი და კოვზით თანაბრად მოასხით ბრინჯს ხორცის წვენი. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

## ხორცი პამიდვრის საწებლით

500-600 გრამი ზომიერად ცხიმიანი რბილი საქონლის ხორცი მოხარშეთ იმდენ წყალში, რომ ხორცს ფარავდეს. მოხარშული ხორცი ლამაზად დაჭერით (ერთი გოჭის სიგრძეზე და თითის სისქეზე). 3-4 თავი ხახვი (200-250 გრამი) კარგად მოშუშეთ ხორცის წვენიდან მორთმეულ ცხიმში, შეგიძლიათ დაუმატოთ კარაქი ან ზეთი. დააყარეთ ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, კარგად აურიეთ, 1-2 წუთის შემდეგ დაუმატეთ 1 ჭიქა პამიდვრის საწებელა ან 2 სუფრის კოვზი ტომატ-პასტა, კარგად აურიეთ და დაასხით გაწურული ხორცის ნახარში. დაუმატეთ 3-4 კბილი ნიორი, წვრილად დაჭრილი 100 გრამი ოხრახუში, წითელი წიწაკა, თუ გსურთ — აჯიკა, მარილი და ერთი ჩაის კოვზი ძმარი. რომ წამოდუღდება, ჩაყარეთ დაჭრილი ხორცი, გააჩერეთ ცეცხლზე 3-5 წუთი და გადმოდგით.

## უმარტივესი ხაჭაპური ხაჭო-პური

მასალა: 3 ქილა არაჟანი, 500-600 გრამი ხაჭო, 100 გრამი კარაქი.

მომინანქრებულ თასში მოათავსეთ შერბილებული კარაქი, ხაჭო და რაც შეიძლება კარგად შეაზილეთ ერთმანეთს (ჯერ ხელით, შემდეგ — ხის კოვზით). შემდეგ დაუმატეთ 4-5 ათქვეფილი კვერცხი და არაჟანი. აქვე ერთი ჩაის კოვზი სოდა და დანის წვერით მარილი. ბოლოს დაუმატეთ ფქვილი ისე, რომ ფაფუკი ცომი გამოგივიდეთ. მიღებული მასა მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობ ყალიბში ან ტაფაზე, გაასწორეთ და შედგით გაზქურაში. 15-20 წუთის შემდეგ ხაჭო-პური მზადაა. ზემოდან სასურველია მოუსვათ კარაქი.

---

**1997 წ. № 11-12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. გალავანი 6. ქარვასლა 8. „ბახტრიონი“ 11. მერია 14. მისია 15. ცისკარი 16. უსტარი 17. სეზონი 21. ასპექტი 22. იონი 23. კლერი 26. „მაესტიკი“ 27. ანდამატი 28. საფირონი.

**შვეულად:** 1. კამათელი 2. მარაო 3. კრინი 4. პლომბირი 7. „კროშკა“ 9. ფიროსმანი 10. „მირანგულა“ 12. ციტრუსი 13. პროექტი 18. ტიპიკონი 19. რებუსი 20. ქარავანი 24. კაკაო 25. აკოფა.




რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 19.12.97 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.08.98 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 800. შეკვ. 1664.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელგარჯილობა



# ტრადიციის აღორძინება



შარშანდელი წლის მიწურულს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში გაიხსნა საქართველოს ხალხური ოსტატის ია (ნაზიბროლა) ლაშქარავას ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიციაში ორმოცზე მეტი დასახელების ნაქარგობა იყო. ოსტატის უმთავრესი მიზანი ქართული ხატების, ფრესკების და პროფესიონალ მხატვართა ფერწერულ ტილოთა ნაქარგობაში გადმოტანა იყო. რა თქმა უნდა, ჰქონდა საკუთარი კომპოზიციებიც. რაღაც ორიოდე წელია, რაც იამ ამ ჟანრში მუშაობა დაიწყო და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. გამოფენას ავტორმა „შორეული ციალი“ უწოდა — ერთ-ერთი ნაქარგობის სახელწოდება. ამ ნამუშევრით იგი მომავალი საუკეთესო ცხოვრების დადგომის შესახებ მიგვანიშნებს და სჯერა, რომ ის, რაც დღეს გაურკვევლობის ბურუსშია გახვეული, შორეულ ციალში უთუოდ ბედნიერებას გვპირდება. ნამუშევარში „სიცოცხლის გაგრძელება“ ავტორი ძალზე ორიგინალურ მხატვრულ ხედვას ამჟღავნებს. დამთვალიერებელთა წინაშე იყო პეიზაჟის ხასიათის ნაქარგობა — მრავლად დატოტვილი ხე და მის გვერდით სათუთი, ახლად ყლორტებამოყრილი ნერგი. აქვე ნაჩვენებია სიცოცხლის შთამბეჭდავი სურათი.

ცხრა აპრილის მტკივნეულ თემას ეძღვნებოდა „სანთლები“, რომელშიც ფარული სევდა სუფევდა და ძალუმად ამოზიდულ გორაკსა თუ საფლავებს ანთებული სანთლები თითქოს ლოცვა-კურთხევით ავსებდნენ.

რელიგიური თემატიკიდან აღსანიშნავია გელათისა და ყინწვისის ფრესკების მიხედვით შესრულებული ნაქარგობანი. კერძოდ, „სულთმოფენის სურათი“, „წმინდა მარიამი“, „დავით აღმაშენებელი“ (გელათის სერია), „ჯვარცმა“, „საიდუმლო სერობა“, „წმინდა ანგელოზი“ (ყინწვისის სერია). ამ ნამუშევრებში მკაფიოდ იგრძნობოდა ახალგაზრდა ქალის რელიგიურობა, ძალუმად მჟღავნდებოდა ცნობილ ფრესკებში ჩაღვენთილი სულიერება.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართული ფარდაგის ეროვნული ხასიათის მატარებელი „დეკორატიული მოტივი“, რომელშიც ხელოვანი ლაღად და ნაზად გადმოგვცემდა თავის ჩანაფიქრს. ია ლექსებსაც წერს. სწორედ მის პოეტურ ბუნებას ამჟღავნებდა და კარგად იკითხებოდა ნაქარგობანი: „ზღვაში ჩაძირული ოცნება“, „მზე და ია“, „როკოკოები“. დამწყები შემოქმედის ია ლაშქარავასათვის ყოველივე ის, რაც საზოგადოებას წარუდგინა, უთუოდ მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, იასათვის ეს პირველი გამოფენა არ იყო. პირველად სენაკში ჰქონდა პერსონალური გამოფენა, რომელიც იტალიელმა სტუმრებმა მოინახულეს. მათ შორის იყო ქეთევან ბაგრატიონი. მან გულთბილად დალოცა ია, და დაპირდა იტალიაში მიწვევას.

შარშან კი ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში ევროს ეგიდით გამართულ საფეიქრო ჯგუფურ გამოფენაშიც მონაწილეობდა.

ხელგარჯილობა, ტრადიციულად, ქართველი ქალების საყვარელი საქმიანობა იყო და ყოველი ცდა მისი აღდგენისა სასურველი და მისასალმებელია.

**ნაზი ელიაშვილი**

ფასი 1 ლარი

ინდექსი 7

ეროვნული ბიბლიოთეკა







